პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 194 (9662) | სამშაბათი, 18 აგვისტო, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერშია:

საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაცია — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ტელეგრამა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ გ. მ. მალენკოვს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის კიმ ირ სენისაგან (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).
საბჭოთა მთავრობის ნოტები საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებისადმი გერმანიის საკითხზე (მე-2 გვერდი).
საბჭოთა მთავრობის პროექტი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ (მე-3 გვერდი).
სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში (მე-3 გვერდი).
ლამაზი და გამძლე ტანსაცმელი — საბჭოთა მომხმარებელს! (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაცია

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის გადაწყვეტილებებში, ამ სესიაზე ამხანაგ გ. მ. მალენკოვის სიტყვაში დასახულია სოფლის მეურნეობის გადაუდებელი ამოცანები მოსავლიანობის ამაღლებისა და მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის, კოლმეურნე გლეხობის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის. ამ ამოცანების განხორციელების საქმეში განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულონ სოფლის პარტიულმა ორგანიზაციებმა.

სოფლად ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანია საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები. მათ პარტიის წესდებით მინიჭებული აქვთ სასოფლო-სამეურნეო არტელის გამგეობის საქმიანობისადმი კონტროლის უფლება. ეს გარემოება მეტად ამაღლებს საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობას. საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაცია მოწოდებულია იყოს კოლმეურნეთა პოლიტიკური ხელმძღვანელი. იგი მოვალეა ეწეოდეს დაუღალავ მუშაობას პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ფხიზლად იდგეს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დაცვის საგუშაგოზე, რაზმავდეს კოლმეურნეთა ფართო მასებს მოსავლიანობის ამაღლებისათვის, სახელმწიფო დავალებათა პირნათლად შესრულების, შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებისათვის, სასტიკად იბრძოდეს ანტისახელმწიფოებრივი, ანტისაკოლმეურნეო ტენდენციების ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ.

ამ ამოცანების წარმატებით შესრულება ბევრად არის დამოკიდებული პარტიული ხელმძღვანელის უნარზე, ცოდნაზე, გამოცდილებაზე, მის პირად თვისებებზე. საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მდივანი გაბედული და პრინციპული უნდა იყოს საკითხების გადაწყვეტისას, მტკიცე და შეუპოვარი პარტიის დირექტივებისა და მითითებების განხორციელებისას. თავისი მუშაობითა და სწავლით სოფლის ყველა კომუნისტისათვის იგი უნდა წარმოადგენდეს პარტიის საქმისათვის თავდადებული მებრძოლის, დისციპლინის, შრომისმოყვარეობისა და მაღალი მორალური თვისებების მაგალითს.

პარტიული მუშაობა — ეს შემოქმედებითი, ადამიანებთან მუშაობაა. ამიტომ პარტიული ხელმძღვანელი მოვალეა ყოველდღიურად იყოს დაკავშირებული კომუნისტებთან, უპარტიო კოლმეურნეებთან, იცოდეს ყოველივე, რაც მის გარშემო ხდება. სწორედ მასებთან მჭიდრო კავშირია წარმატების უმნიშვნელოვანესი პირობა. პარტია გვასწავლის, რომ პარტიული ხელმძღვანელობა შეუთავსებელია ადმინისტრირების, მბრძანებლობის ელემენტებთან. პარტიული ხელმძღვანელის მოვალეობაა დაარწმუნოს ადამიანები, ასწავლოს მათ, დარაზმოს ისინი. მან უნდა შეეძლოს განსაზღვროს თვითეული ადამიანის ადგილი საერთო შრომაში, ყოველ მათგანს გამოუნახოს საქმე, სწრაფად შეამჩნიოს ახალი, მოწინავე, პროგრესული, მხარი დაუჭიროს მას, ჰქონდეს უნარი—დროზე გამოჰყოს მთავარი ამოცანა და მის გადასაწყვეტად წარმართოს მთელი ძალები.

პარტიული ხელმძღვანელის აუცილებელი ღირსებაა იყოს მომთხოვნი საკუთარი თავისა და სხვებისადმი. იგი არ უნდა მიეცეს თვითდამშვიდებას მოპოვებული მიღწევების გამო, მოვალეა ავითარებდეს კრიტიკას და თვითკრიტიკას, ზრდიდეს კომუნისტებს ნაკლოვანებებისადმი შეურიგებელი დამოკიდებულების სულისკვეთებით, გულისხმიერად უგდებდეს ყურს კომუნისტთა საქმიან შენიშვნებსა და წინადადებებს.

მოწინავე საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები მთელ ძალებს რაზმავენ იმისათვის, რომ წელს რესპუბლიკაში არ იყოს არცერთი ჩამორჩენილი კოლმეურნეობა. ასეთ მოწინავეთა რიცხვს ეკუთვნის, მაგალითად, სამტრედიის XVII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაცია. კოლმეურნეობამ დაძლია ჩამორჩენა და შარშან ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მაღალი მოსავალი მოიყვანა, გადაჭარბებით შეასრულა საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის ზრდისა და მისი პროდუქტიულობის გეგმა. კოლმეურნეობის ყველა წარმატება მნიშვნელოვანწილად პირველადი პარტიული ორგანიზაციის ნაყოფიერი, უნარიანი მუშაობით აიხსნება. პარტიული ორგანიზაცია ღრმად სწვდება კოლმეურნეობის ეკონომიკას, სწორად ახორციელებს კონტროლს არტელის გამგეობის საქმიანობისადმი. გაძლიერდა კომუნისტების ავანგარდული როლი შრომაში. კოლმეურნეობაში არცერთი მნიშვნელოვანი საკითხი არ წყდება პარტიული ორგანიზაციის, კომუნისტების მონაწილეობის გარეშე.

ამჟამად საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა წარმატებით დაამთავრონ მოსავლის აღება. ამ მიზნით საჭიროა კიდევ უფრო გაძლიერდეს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მინდვრად, ბრიგადებში. საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ საველე აგიტპუნქტებში ყოველდღიურად იყოს ახალი გაზეთები, სისტემატურად იმართებოდეს საუბრები, ლექციები და მოხსენებები, გამოდიოდეს კედლის გაზეთები და „საბრძოლო ფურცლები". სწორედ ასე მოაწყო მუშაობა გურჯაანის რაიონის სოფელ მუკუზნის კოლმეურნეობა „გლეხთა გაერთიანების" პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ. კოლმეურნეობამ წელს ხორბლის უხვი მოსავალი მიიღო, ჰექტარზე საშუალოდ 30 ცენტნერი პური მოიყვანა. მან რაიონში ერთ-ერთმა პირველმა დაამთავრა პურეულის მოსავლის აღება, ვადამდე შეასრულა პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა არ დაგვენახა, რომ ბევრი საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მუშაობის დონე ჯერ კიდევ ჩამორჩება პარტიის მიერ დასახულ ამოცანებს. საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმზე, აღინიშნა, რომ მთელი რიგი საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ. მათ ჯერ კიდევ ვერ ისწავლეს სწორად შეათავსონ პოლიტიკური და სამეურნეო საქმიანობა, სუსტად იბრძვიან საკოლმეურნეო წესდების დარღვევების წინააღმდეგ.

ამას წინათ პარტიის ქლუხორის რაიკომის პლენუმის მონაწილეებმა მწვავედ გააკრიტიკეს ბარის, იალბუზის, ზედვაკის, ახალშენის და სხვა კოლმეურნეობათა პირველადი პარტიული ორგანიზაციები. აღნიშნული პარტიული ორგანიზაციები არ ზრდიან კომუნისტებს მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით, სუსტად იბრძვიან შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

ყოველივე ეს გამოწვეულია იმით, რომ პარტიის რაიონული კომიტეტები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს, საჭირო ხელმძღვანელობასა და დახმარებას არ უწევენ მათ. რაიონული კომიტეტის ზოგიერთი ხელმძღვანელი გულისხმიერი და ქმედითი დახმარების ნაცვლად ხშირად მზად არის ხელაღებით მოხსნას ან მკაცრად დასაჯოს საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის ახლადარჩეული მდივანი.

პარტიის რაიონული კომიტეტების მოვალეობაა ყოველნაირად განამტკიცონ საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციები, გაზარდონ მათი როლი პოლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრებაში. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის პოლიტიკური დონისა და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლება. ამ მიზნით რაიონულმა კომიტეტებმა უნდა გააუმჯობესონ სემინარების ჩატარების პრაქტიკა, ხშირად მოიწვიონ საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების მდივნების თათბირები, მოაწყონ გამოცდილების გაზიარება. ყურადღება უნდა მიექცეს პარტიული ორგანიზაციის მდივნის ანგარიშის მომზადებას და მოსმენას რაიკომის ბიუროს სხდომაზე. მაგრამ ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია პარტიული ორგანიზაციების მდივნებისათვის ცოცხალი, ქმედითი დახმარება ადგილებზე მისვლით, მათთვის კვალიფიციური ინსტრუქტაჟის გაწევით.

პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა, სოფლის პარტიულმა ორგანიზაციებმა ღრმად უნდა განუმარტონ სოფლის მშრომელებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის გადაწყვეტილებები, ამხანაგ გ. მ. მალენკოვის სიტყვა და დარაზმონ ისინი სოციალისტური სოფლის მეურნეობის გადაუდებელი ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია გაიხსნება დღეს, 18 აგვისტოს, დღის 12 საათზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 8).

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვს

დიდად პატივცემულო ამხანაგო მალენკოვ!

მთელი კორეელი ხალხი დიდად გაახარა ცნობამ, რომ საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა დახმარების სახით მისცეს კორეელ ხალხს ერთი მილიარდი მანეთი კორეის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის.

ამასთან დაკავშირებით ნება მიბოძეთ, პატივცემულო ამხანაგო თავმჯდომარევ, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის, მთელი კორეელი ხალხისა და პირადად ჩემი სახელით გულითადი მადლობა გიძღვნათ თქვენ და თქვენი სახით საბჭოთა კავშირის მთავრობასა და მთელ ხალხს.

დიდმა საბჭოთა ხალხმა, გაათავისუფლა რა კორეელი ხალხი იაპონიის იმპერიალიზმის მრავალი წლის უღლისაგან, განთავისუფლების პირველი დღეებიდანვე ყოველი ღონისძიებით შეუწყო ხელი ჩვენს ბრძოლას ნამდვილად დემოკრატიული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს აშენებისათვის და ამით შესაძლებლობა მოგვცა შეგვექმნა მძლავრი დემოკრატიული ბაზა ჩვენი სამშობლოს ჩრდილოეთ ნაწილში.

კორეელი ხალხის სამამულო განმათავისუფლებელი ომის პერიოდში კორეელი ხალხისათვის გაწეულმა უანგარო მატერიალურმა დახმარებამ და მორალურმა მხარდაჭერამ აღგვაფრთოვანა საბოლოო გამარჯვებისათვის.

საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება დახმარების სახით მიეცეს ერთი მილიარდი მანეთი კორეელ ხალხს, რომელიც ახლა შეუდგა ომით დანგრეული სახალხო მეურნეობის რაც შეიძლება მალე აღდგენისა და განვითარების უმნიშვნელოვანესი ამოცანების განხორციელებას, უსაზღვროდ აღგვაფრთოვანებს და განგვიმტკიცებს ჩვენი სამშობლოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში საბოლოო გამარჯვების რწმენას.

მთელი კორეელი ხალხი გამსჭვალულია მტკიცე გადაწყვეტილებით ყოველი ღონისძიებით განამტკიცოს ჩვენი სამშობლოს დემოკრატიული ბაზა, გამოიყენოს მთელი ეს თანხა ჩვენი სამშობლოს მოსახლეობის ცხოვრების სტაბილიზაციისათვის, ომისშემდგომი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და ინდუსტრიალიზაციისათვის.

სულით და გულით გისურვებთ, პატივცემულო თავმჯდომარევ, ჯანმრთელობას.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე
კიმ ირ სენი.

ფხენიანი, 1953 წ. 13 აგვისტო.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორის, ვიოლინისტ დ. თ. ოისტრახისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორს, ვიოლინისტ დავით თევდორეს-ძე ოისტრახს მიენიჭოს სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **კ. ვოროშილოვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ნ. პეგოვი.**

მოსკოვი, კრემლი.
1953 წ. 15 აგვისტო.

* * *

საბჭოთა საქართველოს დღე

დიდდება ლამაზი ფეხსაცმლის გამოშვება

სოხუმი. სოხუმის გარეუბანში მანდარინის სიმწვანეში აღმართულია ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის კორპუსები. ეს არის ქალაქის ერთ-ერთი მოწინავე საწარმო. სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის მარკის პროდუქცია ფართოდ არის ცნობილი ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქში. უკანასკნელ დღეებში აქედან ფეხსაცმლისა და ტყავის დიდი პარტიები გაიგზავნა ბაქოს, სტალინგრადის, პენზის სავაჭრო ბაზებში.

კომბინატის კოლექტივი ადიდებს პროდუქციის გამოშვებას. ივლისის დავალება შესრულებულია 103 პროცენტით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულმა კომბინატის კოლექტივმა ახალი ძალით გააჩაღა შეჯიბრება ლამაზი ფეხსაცმლის გამოშვების გადიდებისათვის. განსაკუთრებით წარმატებით შრომობს ამ დღეებში ქალის ფეხსაცმლის საამქროს კოლექტივი, რომელიც ყოველდღიურად 105-107 პროცენტით ასრულებს დავალებას, საამქრო ეუფლება ლამაზი, მკვიდრი, მოხერხებული ახალი მოდის სოლისებრქუსლიანი ფეხსაცმლის გამოშვებას.

ამჟამად კომბინატში ეუფლებიან მამაკაცის, ქალისა და ბავშვის 25 ახალი ფასონის ფეხსაცმლის გამოშვებას იმ მოდელების მიხედვით, რომლებიც ამას წინათ კომბინატმა დაამზადა და მოიწონა სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროს სამხატვრო საბჭომ. მიმდინარე წლის შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის დაახლოებით ასი ათასი წყვილი ახალი მოდელის ფეხსაცმელი იქნება გამოშვებული.

სახალხო მოხმარების საგნების გამოფენა

თბილისში გაიხსნა სახალხო მოხმარების იმ საგნების გამოფენა, რომლებსაც ამზადებენ საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საწარმოები. გამოფენაზე წარმოდგენილია 400 სახელწოდების საქონლის ათი ათასზე მეტი ექსპონატი.

მნახველთა ყურადღებას იპყრობს საოჯახო მოხმარების საქონლის მდიდარი ასორტიმენტი — ქვაბები, ნავთქურები, ვედროები, ჯაგრისები, ტაშტები, ელექტროსათბობი ხელსაწყოები, აგრეთვე სატრიკოტაჟო-საგალანტერიო და სამკერვალო ნაწარმი. გამოფენა მოწყობილია იმ მიზნით, რომ სავაჭრო ორგანიზაციებმა ამოირჩიონ მასობრივი გამოშვებისათვის ისეთი სახალხო მოხმარების საგნები, რომლებზედაც დიდი მოთხოვნილებაა.

გეგმების შესრულება

გურჯაანის რაიონმა 13 აგვისტოსათვის შეასრულა მარცვლეულის ჩაბარების წლიური გეგმა (სიმინდის გარდა).

გრძელდება სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარება მტს-ის ნატურანაზღაურების ანგარიშში.

• • •

საგარეჯოს რაიონმა 14 აგვისტოსათვის 100,8 პროცენტით შეასრულა მარცვლეულის ჩაბარების წლიური გეგმა (სიმინდის გარდა).

გრძელდება სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარება მტს-ის ნატურანაზღაურების ანგარიშში.

ავტომშენებლები

დღეს შესრულდა ორი წელი მას შემდეგ, რაც ამუშავდა ჩვენი რესპუბლიკის სიამაყე — ქუთაისის საავტომობილო ქარხანა. თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ამ გიგანტის ამუშავება უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ამით საქართველოში საფუძველი ჩაეყარა მრეწველობის ახალ დარგს. იგი განხორციელდა დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით — ქართველი ახალგაზრდები საავტომობილო საქმეს ეუფლებოდნენ მოსკოვსა და გორკში, აღიზარდნენ ეროვნული კადრები.

ერთ წელზე მეტია ქუთაისელი მეავტომობილეები უშვებენ ახალი მარკის თვითსაცლელ მანქანას — „კაზ-585-ბ".

მაღლაკის ველზე გაშენდა ავტომობილმშენებელთა ახალი კეთილმოწყობილი დაბა მრავალსართულიანი, ლამაზი საცხოვრებელი სახლებითა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობებით.

ჩვეულებისამებრ ადრე მოვიდა საამქროში ილია ბალხამიშვილი, სწრაფად გადაიცვა სამუშაო ხალათი, სიყვარულით შეავლო თვალი ვეებერთელა საამქროს, რომელშიც უხვად შემოჭრილიყო მზის სხივები, გაწმინდა იარაღები და მუშაობას შეუდგა...

ხამსხმელო საამქრო ავტოქარხნის ერთ-ერთი წამყვანი უბანია. აქ ხდება ავტონაწილების დასამზადებლად საჭირო დეტალების ჩამოსხმა.

სწრაფად გაიღო ღუმელის კარი, საიდანაც ნიაღვარივით წამოვიდა გამდნარი ლითონი და თვალის დახამხამებაში აავსო ვეებერთელა ციცხვი. იგი ამწეს მიაქვს იმ უბანზე, სადაც ილია და მასავით ახალგაზრდა მსხმელები გივი ბურჭულაძე, გიორგი მატიევი ყალიბებს ამზადებენ. ყალიბები მალე ივსება გავარვარებული ლითონით. ლითონი თანდათან ცივდება და მკვრივდება. სწრაფად აშორებენ წიდას, პროცესი მთავრდება.

გავარვარებულ ღუმელებთან მოიპოვეს მაღალნაყოფიერი შრომის ოსტატების სახელი აგრეთვე ა. ფანცულაიამ, ი. გუბელაძემ, ი. ემელიანოვმა და სხვებმა. მათ თვალსაჩინო წვლილი შეაქვთ იმ 75 სახელწოდების დეტალის ყალიბების დამზადებაში, რომლებიც ამ საამქროში კეთდება.

დაზგების განუწყვეტელი გუგუნი და ხმაური გაისმის სატვიფრო-მექანიკურ საამქროში. აქ უმთავრესად სახელოსნო სასწავლებლიდან მოსული ახალგაზრდები მუშაობენ, ეჯიბრებიან, იმდიდრებენ ცოდნასა და გამოცდილებას. ბევრი მათგანი სწორედ აქ, ჩარხების ამ ხმაურში დავაჟკაცდა და წარმოების ოსტატი გახდა. მათ შორის არის სტახანოველი რ. დოლიძე, რომელმაც უკვე შეძლო საკუთარი ხუთწლიანი გეგმის შესრულება.

არა მარტო ეს საამქრო, არამედ მთელი ქარხანა ამაყობს ცნობილი სტახანოველით, ლითონის ჩქაროსნული ჭრის ოსტატ ანატოლ აგაპოვით. იგი ქარხანაში ერთ-ერთი პირველი ეხმაურება ყოველ ახალ წამოწყებას, უნარიანად იყენებს შრომის გაუმჯობესებულ მეთოდებს.

აგაპოვმა დიდ წარმატებას მიაღწია ვ. კოლესოვის მეთოდის ათვისებაში. მან თვითონ დაამზადა გაუმჯობესებული საჭრისი და ახლა დავალებებს ცვლაში 400-500 პროცენტით ასრულებს. ამ დღეებში ნოვატორმა ახალი გამარჯვება მოიპოვა, კიდევ უფრო სრულყო საჭრისი, საგრძნობლად გაადიდა მიწოდება — 0,8 მილიმეტრი ბრუნვიდან 1,5 მილიმეტრ ბრუნვამდე აიყვანა. ამან საშუალება მისცა ერთ-ერთი სასწრაფო დაკვეთა ნორმით გათვალისწინებული 123 საათის ნაცვლად 16 საათში დაემზადებინა.

ქარხნის საპატიო წიგნში შეტანილია ძრავის საამქროს სტახანოველი ხარატის ვ. გვაზავას გვარი. იგი მოკლე დროში დაეუფლა სიჩქარის კოლოფის აწყობას და მოწინავეთა რიგებში ჩადგა. 1949 წლიდან ვ. გვაზავა ძრავის განმანაწილებელი ლილვის კბილანის დამზადებაზე მუშაობს. მან ექვსი ჩარხი აბარია და მისი საწარმოო მაჩვენებელი 200 პროცენტზე დაბლა არ ჩამოდის.

ამ საამქროში ბევრია ისეთი სტახანოველი, რომელმაც უკვე შეასრულა პირადი ხუთწლიანი გეგმა. აი მათი გვარები: მხეხავი ა. ვაჭარაძე, ამწყობი ე. კუკალია, მღარავი პ. ფახურიძე და სხვა.

არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ქარხანაში ორი გოგონა მოვიდა და განაცხადა:

— თუ შეიძლება, ერთ-ერთ საამქროში მოგვაწყვეთ სამუშაოდ. მათი თხოვნა დააკმაყოფილეს — ორივენი შასის საამქროში გააფორმეს. აქ ნახეს პირველად გოგონებმა თამარ ბუაძემ და ზაირა ლიკლიკაძემ მძლავრი მანქანა-დანადგარები. არც ერთი არ ჰგავდა ერთმანეთს, ზოგი სიმაღლეში წასული, ზოგი — სიგანეში, ზოგიც სულ პატარაა, მაგრამ ავტომობილისათვის უაღრესად საჭირო ნაწილებს ამზადებს. გულთბილად მიიღეს საამქროში ახალი წევრები, ოსტატ გ. გიორგაძის და მთელი კოლექტივის დახმარებით ორივე სწრაფად დაეუფლა კბილანმჭრელის პროფესიას.

ავტოგიგანტის ორასამდე სტახანოველმა უკვე გაანაღდა პირადი ხუთწლიანი გეგმა და ახლა მომავალი ხუთწლედის ანგარიშში იძლევა პროდუქციას.

ქარხნის მთავარი კონვეიერის საამქროში, სადაც უამრავი დეტალებისაგან დამზადებული კვანძები იყრის თავს, სულ რამდენიმე წუთში იბადება ახალი მანქანა, საინტერესოა მისი შექმნის პროცესი — ჯერ ჩანს მხოლოდ მანქანის ჩონჩხი, კონვეიერი მოძრაობს და ჩონჩხი ნელნელა ისხამს ხორცს. იზრდება, ავტომანქანის სახეს იღებს. ათეული ოსტატის გამოცდილ ხელში გაივლის მანქანის ჩონჩხი, და ბოლოს დგება საზეიმო მომენტი, როცა კონვეიერიდან ჩამოდის ახალთახალი ქართული ავტომანქანა.

გ. მეფისაშვილი.

* * *

სურათზე: მთავარ კონვეიერზე მანქანის აწყობა.

ფოტო პ. ლუცენკოსი.

ამბები საკოლმეურნეო სოფლებიდან

მოწინავე კომბაინერები

გურჯაანის მტს-ის მექანიზატორებმა 25 სამუშაო დღეში დაამთავრეს თავთავიან კულტურათა მოსავლის აღება 3.100 ჰექტარზე. „სტალინეც-6" მარკის თვითეული კომბაინის საშუალო წარმადობამ ყოველდღიურად 14 ჰექტარი შეადგინა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 ჰექტარისა. „კომუნარის" წარმადობა 8 ჰექტარიდან 11,7 ჰექტარამდე გაიზარდა.

პურეულის მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში თავი ისახელეს კომბაინერებმა მ. ზასარინმა, ს. უტიაშვილმა, ვ. ლუდიძემ, ი. ბელიანინმა, ს. სიმონიშვილმა, გ. ბერულაშვილმა და ი. რუხაძემ.

ს. შაქარაშვილი.

ჩაის გეგმის გადამეტებით

წულუკიძე. (საკ. კორ.). სტურუას სახელობის კოლმეურნეობის წევრი ნინო ლიპარტელიანი ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებს ჩაის ფოთლის კრეფის გეგმას. წელს მან ნახევარ ჰექტარზე უკვე 5.500 კილოგრამი ფოთოლი მოკრიფა ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 2.800 კილოგრამისა და ახალი ვალდებულება იკისრა — სეზონის დამთავრებამდე კიდევ მოკრიფოს 2.500 კილოგრამი ფოთოლი.

ამ დღეებში სოფელ მათხოჯის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ჩაის მკრეფავებმა მარიამ ლაჭავამ და ნადია ხუროძემ, სოფელ კუხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ალექსანდრა ჯიმშელეიშვილმა შეასრულეს ჩაის კრეფის წლიური გეგმები და ახლა ფოთოლს გეგმის გადამეტებით კრეფენ.

შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

ჭიათურის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა სატრაქტორო სამუშაოთა 6 თვის დავალება და ამით ახალი წარმატება მოიპოვა სოციალისტურ შეჯიბრებაში, გეგმით გათვალისწინებული 2.157 პირობითი ჰექტარის ნაცვლად მოხნა 2.642 ჰექტარი. სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში ყველაზე წინ არის პირველი სატრაქტორო ბრიგადა (ხელმძღვანელი გ. ჯაფარიძე), რომელმაც ნაცვლად 900 ჰექტარისა 1.110 ჰექტარი მოხნა. ტრაქტორისტმა გიორგი სარალიძემ გეგმის გადამეტებით 68 ჰექტარი მიწა დაამუშავა. ახალგაზრდა მექანიზატორმა ოთარ კაპანაძემ „ს-80" მარკის ტრაქტორით 105 ჰექტარით გადააჭარბა ხვნის გეგმას, დაზოგა 90 კილოგრამი საწვავი და 1.400 მანეთით შეამცირა ტექნიკური მოვლის ხარჯები. მოწინავეთა რიგებშია აგრეთვე ტრაქტორისტი კ. კაპანაძე.

ჭიათურის რაიონულ გაზეთ „კომუნისტური სიტყვის" რედაქცია, „კომუნისტის" კოლექტიური კორესპონდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა მთავრობის ნოტები

საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებისადმი გერმანიის საკითხზე

საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია კვლავ მიაქციოს საფრანგეთის მთავრობის, ისევე როგორც ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობების, ყურადღება იმ არანორმალურ მდგომარეობას, როცა ევროპაში ომის დამთავრების დროიდან რვა წლის გასვლის შემდეგ გერმანიას არა აქვს საზავო ხელშეკრულება, იგი გათიშული რჩება დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად, იმყოფება არათანასწორუფლებიან მდგომარეობაში სხვა სახელმწიფოებთან შედარებით. ასეთი მდგომარეობა ეწინააღმდეგება მშვიდობისმოყვარე ხალხების მისწრაფებას ევროპაში მშვიდობის განმტკიცებისადმი და, ამასთან ერთად, წარმოადგენს გერმანელი ხალხის კანონიერი ეროვნული ინტერესების დარღვევას.

ჯერ კიდევ 1952 წლის 10 მარტს საბჭოთა მთავრობამ საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობების განსახილველად წარმოადგინა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საფუძვლების პროექტი, რომლის შესახებაც საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს დღემდე არ გამოუთქვამთ თავიანთი დამოკიდებულება (გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საფუძვლების პროექტი თან ერთვის). საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს აგრეთვე არ წარმოუდგენიათ საზავო ხელშეკრულების თავიანთი პროექტი. აქედან გამომდინარეობს, რომ სამი აღნიშნული სახელმწიფოს მთავრობები ჯეროვნად ვერ აფასებენ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხის დიდ მნიშვნელობას. გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხი სულ უფრო მეტად ჭიანურდება, რისთვისაც პასუხისმგებლობა ეკისრებათ, უწინარეს ყოვლისა, საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს.

უარს ამბობენ რა განიხილონ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხი, საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობები სხვა გზას დაადგნენ.

1952 წლის 26 მაისს საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებმა ბონის ადენაუერის მთავრობასთან ერთად ხელი მოაწერეს „ხელშეკრულებას სამ სახელმწიფოსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის ურთიერთობის შესახებ“, რომელიც ცნობილია როგორც „ბონის შეთანხმება“, ხოლო იმავე წლის 27 მაისს საფრანგეთის, იტალიის, ბელგიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის მთავრობებმა ბონის მთავრობასთან ერთად ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ, რომელიც ცნობილია „პარიზის შეთანხმების“ სახელწოდებით. ამასთან როგორც „ბონის შეთანხმება“, ისე „პარიზის შეთანხმება“ 50 წლით წინ განუყრელად დაკავშირებულია სახელმწიფოთა აგრესიულ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკთან.

როგორც ცნობილია, „პარიზის შეთანხმების“ აზრი ის არის, რომ დასავლეთ გერმანიაში ჰიტლერელი გენერლებისა და სხვა რევანშისტების ხელმძღვანელობით იქმნება შეიარაღებული ძალები, რომლებიც შედიან ეგრეთწოდებული „ევროპის არმიის“ შემადგენლობაში, რომელიც გათვალისწინებულია ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის აგრესიული მიზნებისათვის. „ბონის შეთანხმების“ თანახმად კი დასავლეთ გერმანია რჩება სამი სახელმწიფოსადმი დაქვემდებარებული სახელმწიფოს მდგომარეობაში, რომლებიც მიუხედავად საოკუპაციო სტატუტის ფორმალური გაუქმებისა, თავიანთ ჯარებს ტოვებენ დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე მის საშინაო საქმეებში ჩარევის შეუზღუდველი უფლებებით, რაც მრავალი წლით ტოვებს დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის დამონებას ოკუპაციის სახეშეცვლილი რეჟიმის პირობებში.

ეს ნიშნავს, რომ ბონისა და პარიზის შეთანხმებებს მოსდევს გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება და დასავლეთ გერმანიის გადაქცევა მსოფლიო ბატონობის პრეტენდენტ სხვა სახელმწიფოთა აგრესიული გეგმების იარაღად.

როგორც საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის კომუნიკედან ჩანს, თათბირისა, რომელიც 1953 წლის ივლისში გაიმართა ვაშინგტონში, სამი სახელმწიფოს მთავრობებმა „გადაწყვიტეს კვლავაც გაატარონ პოლიტიკა, რომლის მიზანია „ევროპის არმიის“ შექმნის და მასში ჰიტლერელი გენერლების მეთაურობით დასავლეთ გერმანიის შეიარაღებული ძალების შეყვანის გეგმის განხორციელება. კომუნიკეში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ „სამმა საგარეო საქმეთა მინისტრმა დაადასტურა თავისი მტკიცე განზრახვა ენერგიულად გაატარონ პოლიტიკა, რომელზეც შეთანხმდნენ მათი მთავრობები ატლანტიკის ხელშეკრულების ფარგლებში. ეს პოლიტიკა შეიცავს მუშაობას ევროპის იმ ექვსი ქვეყნის ევროპული ერთიანობის შესაქმნელად, რომლებმაც უკვე შექმნეს ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება და რომელთა მთავრობებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ.

იმ გზას, რომელსაც დაადგნენ საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობები გერმანიის საკითხში, მივყავართ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებისაკენ, ახალი აგრესიის საშიში კერის შექმნისაკენ, ევროპაში ახალი ომის საფრთხის სულ უფრო გაძლიერებისაკენ. ამ გზით სულა ნიშნავს უარის თქმას იმ საზეიმო საერთაშორისო ვალდებულებებზე, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ხელი შეეწყოთ გერმანიის, როგორც მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფოს აღდგენისათვის, რომლებიც 1945 წლის პოტსდამის კონფერენციაზე მიიღეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა, ხოლო შემდეგ საფრანგეთმაც, რომელიც ამას შეუერთდა.

მეორე გზა არის ის გზა, რომელიც შეესაბამება იმ მშვიდობისმოყვარულ მიზნებსა და ვალდებულებებს, რომლებიც ოთხმა სახელმწიფომ იკისრა გერმანიის მიმართ ომის დამთავრებისთანავე და რომლებიც შეესაბამება ევროპაში მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს. ამასთან არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს იმას, რომ პოტსდამის კონფერენციის დროიდან რვა წელიწადი გავიდა და რომ მას შემდეგ მოხდა არამცირე ცვლილებანი, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნას გერმანიის საკითხის საბოლოო მოწესრიგებისას. მაგრამ პოტსდამის შეთანხმების ძირითადი მიზნები — ხელი შეუწყონ მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული გერმანიის შექმნას — წინანდებურადვე გამოხატავენ ევროპის ყველა ხალხის, მათ შორის აგრეთვე გერმანელი ხალხის, ინტერესებს, და უზრუნველყოფილ უნდა იქნან გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების გზით.

ამ ამოცანის გადაწყვეტა შექმნის გერმანიის უმაგალითო აღმავლობის პირობებს, რომელსაც ეკონომიკისა და კულტურის განვითარების, დიდი შესაძლებლობანი აქვს. არავის არ შეუძლია უარყოს, რომ გერმანიის როგორც დიდი სახელმწიფოს აღორძინება, რომელიც ღირსია შესაფერისი ადგილი დაიკავოს სხვა სახელმწიფოთა შორის, შესაძლებელია გერმანიის სახელმწიფოს მხოლოდ მშვიდობიანი და დემოკრატიული განვითარების გზით, იმ სახელმწიფოებთან მეგობრული თანამშრომლობის გზით, რომლებიც ესწრაფვიან მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებას. ისტორიის გამოცდილება ცხადყოფს, რომ ომის გზამ უკვე არაერთგზეს მიიყვანა გერმანია ეროვნულ კატასტროფამდე და რომ ამის შედეგები ძვირად უჯდებოდა გერმანელ ხალხს.

ეჭვი არ არის, რომ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს გერმანიის პრობლემის მოწესრიგებისათვის. იგი გადაჭრით შეუწყობს ხელს ევროპაში მშვიდობის განმტკიცებას და შესაძლებელს გახდის საბოლოოდ გადაწყდეს მეორე მსოფლიო ომის შედეგად წამოჭრილი შესაბამისი საკითხები, რითაც სასიცოცხლოდ არიან დაინტერესებულნი ევროპის სახელმწიფოები, რომლებიც ჰიტლერულმა აგრესიამ დააზარალა, და უწინარეს ყოვლისა გერმანიის მეზობლები.

გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება საჭიროა აგრეთვე იმის გამო, რომ გერმანიის მილიტარიზმის აღდგენის საფრთხე, მილიტარიზმისა, რომელმაც ორჯერ გააჩაღა მსოფლიო ომი, აღმოფხვრილი არ არის რადგან ჯერ კიდევ შეუსრულებელია პოტსდამის კონფერენციის შესაბამისი დადგენილებანი. გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება გერმანელი ხალხისათვის დაამყარებს მშვიდობის მტკიცე პირობებს, ხელს შეუწყობს გერმანიის, როგორც ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს განვითარებას, უზრუნველყოფს გერმანელი ხალხისათვის თანასწორუფლებიანობის საფუძვლებზე სხვა ხალხებთან მშვიდობიანი თანამშრომლობის შესაძლებლობას.

საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობები გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების განხილვაზე თავიანთ უარს იმით ასაბუთებენ, რომ ჯერ კიდევ არ არსებობს სრულიად გერმანიის მთავრობა, რომელსაც შეეძლებოდა მონაწილეობა მიეღო ხელშეკრულების მომზადებაში, მაგრამ საზავო ხელშეკრულების განხილვაზე უარისთქმის ასეთი მოტივები საქმის ნამდვილ ვითარებას არ შეესაბამება. სინამდვილეში საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის პოლიტიკას ის მოსდევს, რომ არა მარტო სულ უფრო შორს იდება საზავო ხელშეკრულების საკითხის განხილვა, არამედ ამავე დროს შორს იდება აგრეთვე სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნის საკითხის გადაწყვეტა, ვინაიდან ამ პოლიტიკის მიზანია დამკვიდრდეს გერმანიის გათიშვა, არ იქნას დაშვებული გერმანიის ერთიანობის აღდგენა.

ამჟამად ხორციელდება ზეგავლენის სულ ახალი ღონისძიებანი, რათა ბონისა და პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია მოახდინონ შესაბამისმა სახელმწიფოებმა, მიუხედავად იმისა, რომ ამას სერიოზულად ეწინააღმდეგებიან ზოგერთ სახელმწიფოთა პარლამენტები. ამ ზეგავლენის, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მხრივ ზეგავლენის მიზანია დაჩქარდეს დასავლეთ გერმანიის შეიარაღებული ძალების შექმნა და მათი შეყვანა პარიზის შეთანხმებით გათვალისწინებულ „ევროპის არმიაში“, რათა ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის სახელმწიფოებზე დამოკიდებული დასავლეთი გერმანია გადააქციონ ამ ბლოკის გეგმების განხორციელების იარაღად. მაგრამ „ევროპის არმიაში“, ხოლო ამასთანავე ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში დასავლეთ გერმანიის შეყვანა იმის მომასწავებელი იქნება, რომ უკვე შეუძლებელი იქნება დასავლეთ გერმანიის მიჩნევა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოდ. „ევროპის არმიასა“ და ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში დასავლეთ გერმანიის შეყვანა შეუძლებელს გახდის დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიის გაერთიანებას ერთ სახელმწიფოდ. მთელი ევროპის მშვიდობისმოყვარე ხალხები დაინტერესებული არიან ერთიანი და მშვიდობისმოყვარე გერმანიის შექმნით, როგორც ამით დაინტერესებულია თვით გერმანელი ხალხიც. მაგრამ მას შემდეგ, რაც ბონის მთავრობა დასავლეთ გერმანიას ჩაბამს აგრესიულ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში, შეუძლებელი გახდება დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიის გაერთიანება. სწორედ ამიტომ გერმანელთა უდიდესი უმრავლესობა არა მარტო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, არამედ დასავლეთ გერმანიაშიც ილაშქრებს ადენაუერის მთავრობის გეგმების წინააღმდეგ — „ევროპის არმიასა“ და ჩრდალოეთ ატლანტიკის ბლოკში დასავლეთ გერმანიის ჩაბმის გეგმების წინააღმდეგ, და ამ მხრივ მათ მხარეზე არიან მთელი ევროპის მშვიდობისმოყვარე ხალხები.

ნათქვამიდან ჩანს, რომ საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობების, ისევე როგორც ადენაუერის მთავრობის პოლიტიკის მიზანია არა გერმანიის გაერთიანება და არა სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნა, არამედ ის, რომ მრავალი წლით დატოვონ გერმანია ნაწილებად გათიშული. ასეთი პოლიტიკის პირდაპირი მიზანია წინააღმდეგობა გაუწიოს სრულიად გერმანიის დემოკრატიული მთავრობის შექმნას. მაშასადამე, გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების განხილვაზე უარისთქმა იმ საბაბით, რომ არ არსებობს სრულიად გერმანიის მთავრობა, არ ასახავს ამ უარის ნამდვილ მოტივებს.

ნათქვამიდან აგრეთვე ჩანს, რომ საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობების, ახლანდელი პოლიტიკა მიმართულია როგორც საზავო ხელშეკრულებას საკითხის გადაწყვეტის წინააღმდეგ, ისე მშვიდობისმოყვარულ და დემოკრატიულ საფუძვლებზე გერმანიის გაერთიანების წინააღმდეგ, სრულიად გერმანიის დემოკრატიული მთავრობას შექმნის წინაღმდეგ.

საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს სრულიად გერმანიის დემოკრატიული მთავრობის შექმნის საკითხის გადაწყვეტის ნაცვლად შემოაქვთ სხვა წინადადება. ისინი წინადადებას იძლევიან განხილულ იქნას სრულიად გერმანიის არჩევნების საკითხი, მაგრამ ამ საქმეს იმით ფარგლავენ, რომ ოთხმა სახელმწიფომ განიხილოს მათი წინადადება — დაინიშნოს ეგრეთწოდებული ნეიტრალური გამომკვლევი კომისია უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან ამ არჩევნების მოსაწყობად „პირობების შექმნის მიზნით“. ეს არ შეიძლება შეფასებულ იქნას სხვანაირად, თუ არა როგორც ცდა — გერმანიაში არჩევნების მოწყობა გადასცენ უცხო სახელმწიფოებს, და ამ მიზნით გერმანელ ხალხს თავს მოახვიონ ყოველგვარი უცხოელი „გამომკვლევნი“, თითქოს საქმე ეხებოდეს არა გერმანიას, რომელსაც აქვს მრავალი წლის დემოკრატიული ტრადიციები, არამედ რაღაც უუფლებო კოლონიას. ასეთი წინადადება იმას იწვევს, რომ გერმანელი ხალხი ჩამოაშორონ თავისი საშინაო საკითხების გადაჭრას, იგი წარმოადგენს გერმანელი ხალხისადმი უხეში უნდობლობის გამოხატულებას და, ბუნებრივია, იწვევს წინააღმდეგობას გერმანიის მოსახლეობის ფართო წრეების მხრივ.

საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა აღნიშნული წინადადება თავისი საფუძვლით ეწინააღმდეგება დემოკრატიზმის პრინციპებს, რომლებიც პოტსდამის გადაწყვეტილებით გამოიხატა. ეს წინადადება, სამი სახელმწიფოს განცხადებით, შეთანხმებულია ადენაუერის მთავრობასთან, რომელიც დასავლეთ გერმანიის უდიდესი კაპიტალისტური მონოპოლიების ინტერესებს ემსახურება, რომელიც სულ უფრო უხსნის ხელ-ფეხს გუშინდელ ჰიტლერულებს და აშკარა ფაშისტებს, რათა ჩაახშონ გერმანიის დემოკრატიული ძალები, მთავრობასთან, რომელიც საყვირია უკიდურესი გერმანელი ნაციონალისტებისა და რევანშისტებისა, რომლებიც ესწრაფვიან გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებას და ახალ დამპყრობლურ ომებს. ამასთან არ შეიძლება დავიწყებულ იქნას, რომ ადენაუერის მთავრობა მუდამ ეწინააღმდეგებოდა გერმანიის საკითხში ოთხი სახელმწიფოს პოლიტიკის შეთანხმების თვით შესაძლებლობას, რადგან მან თავისი ბედი მთლიანად დაუკავშირა გერმანიის მილიტარიზმის აღდგენის გეგმებს, ევროპაში ახალი ომის მომზადების გეგმებს. სწორედ ამ ანტახალხური მიზნებისათვის იგი ცდილობს მოახდინოს პარიზისა და ბონის შეთანხმებათა რატიფიკაცია, მიუხედავად იმისა, რომ ეს შეთანხმებანი ეწინააღმდეგებიან გერმანელი ხალხის ეროვნულ ინტერესებს და მოასწავებენ დასავლეთ გერმანიის გადაქცევას დამოკიდებულ სახელმწიფოდ, დიდი ხნით იმონებენ დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას.

ამრიგად, როგორც პარიზის, ისე ბონის შეთანხმებას საერთო არა აქვს რა დემოკრატიული გერმანიის ერთიანობის აღდგენის ინტერესებთან და ამ შეთანხმებათა ნამდვილი მიზნები მიმართულია პოტსდამის კონფერენციის ძირითადი პრინციპების წინააღმდეგ, კონფერენციისა, რომელზეც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა და სსრ კავშირმა, აგრეთვე მათთან შეერთებულმა საფრანგეთმა, გადაწყვიტეს უზრუნველეყოთ ერთიანი გერმანიის როგორც მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფოს აღდგენა.

ყოველივე ნათქვამიდან ჩანს, რომ დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ერთიანობის აღდგენის საკითხი გერმანელი ხალხისათვის იყო და არის ძირითადი საკითხი, რომლის გადაწყვეტით დაინტერესებული არიან მთელი ევროპის მშვიდობისმოყვარე ხალხები. გერმანიის მომიზეზება ვერ გამართლებს შემდგომ გაჭიანურებას ამ საქმეში, რამდენადაც ახლანდელ პირობებში მთავარი პასუხისმგებლობა მისი გადაჭრისათვის ეკისრებათ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და სსრ კავშირის მთავრობებს. ყოველ შემთხვევაში არ უნდა გადაიდოს ისეთი ღონისძიებანი, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ გერმანიის გაერთიანების, სრულიად გერმანიის დემოკრატიული მთავრობის შექმნის საკითხის თუნდაც თანდათანობით გადაჭრას.

სსრ კავშირის მთავრობა მიმართავს საფრანგეთის მთავრობას აგრეთვე ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს წინადადებით — ახლავე განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებანი გერმანიის პრობლემის მოსაწესრიგებლად.

ნათქვამის შესაბამისად საბჭოთა მთავრობას გადაუდებლად მიაჩნია გერმანიის შესახებ შემდეგი ძირითადი საკითხების გადაჭრა:

1. საზავო კონფერენციის მოწვევა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხის განსახილველად.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ ასეთი კონფერენცია ყველა დაინტერესებული სახელმწიფოს მონაწილეობით შეიძლება მოწვეულ იქნას უახლოესი ექვსი თვის მანძილზე, და ვერ ხედავს იმის საფუძველს, რომ საზავო კონფერენციის მოწვევა კვლავ გადაიდოს. გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადების მთელი წინასწარი მუშაობა შეიძლება დამთავრდეს აღნიშნული ვადის განმავლობაში. ამასთან საჭიროა უზრუნველვყოთ გერმანიის წარმომადგენელთა შესაბამისი მონაწილეობა საზავო ხელშეკრულების მომზადების ყველა სტადიაში და საზავო კონფერენციაზე. სრულიად გერმანიის დროებითი მთავრობის შექმნამდე საზავო ხელშეკრულების მომზადებაში მონაწილეობის მიღება შეეძლებათ აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის არსებულ მთავრობათა წარმომადგენლებს.

2. სრულიად გერმანიის დროებითი მთავრობის შექმნა და სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების მოწყობა.

მშვიდობისმოყვარულ და დემოკრატიულ საფუძვლებზე გერმანიის ეროვნული ერთიანობის აღსადგენად საბჭოთა მთავრობას წინადადება შემოაქვს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის პარლამენტებმა, დემოკრატიული ორგანიზაციების ფართო მონაწილეობით, შექმნან სრულიად გერმანიის დროებითი მთავრობა. ასეთი მთავრობა შეიძლება შეიქმნას აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიას შორის უშუალო შეთანხმების გზით, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ამჟამად არსებულ მთავრობათა შეცვლის წესით. იმ შემთხვევაში, თუ ეს ძნელი აღმოჩნდება ამჟამად, სრულიად გერმანიის დროებითი მთავრობა შეიძლება შეიქმნას იმგვარადაც, რომ ერთხანს შენარჩუნებულ იქნას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობები, ამასთან ამ შემთხვევაში სრულიად გერმანიის დროებით მთავრობას, ალბათ, პირველ სტადიაზე მხოლოდ შეზღუდული ფუნქციები ექნება. მაგრამ ასეთი მდგომარეობის დროსაც სრულიად გერმანიის დროებითი მთავრობის შექმნა წინ გადადგმული რეალური ნაბიჯი იქნება გერმანიის გაერთიანების გზაზე, გაერთიანებისა, რომელიც სავსებით უნდა დამთავრდეს იმით, რომ შეიქმნას სრულიად გერმანიის მთავრობა ნამდვილად თავისუფალი სრულიად გერმანიის არჩევნების საფუძველზე.

სრულიად გერმანიის დროებითი მთავრობის ამოცანები:

ა) სრულიად გერმანიის დროებით მთავრობას შეეძლო გადაეჭრა სრულიად გერმანიის მნიშვნელობის ისეთი გადაუდებელი საკითხები, როგორიც არის: გერმანიის წარმომადგენლობა საზავო ხელშეკრულების მომზადების დროს, აგრეთვე წარმომადგენლობა საერთაშორისო ორგანიზაციებში; არდაშვება იმისა, რომ გერმანია ჩაბმულ იქნას კოალიციებსა ან სამხედრო კავშირებში, რომლებიც მიმართულია რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც თავისი შეიარაღებული ძალებით მონაწილეობდა ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომში; გერმანიის მოქალაქეობის საკითხები; დემოკრატიული პარტიებისა და ორგანიზაციების თავისუფალი საქმიანობის უზრუნველყოფა და დემოკრატიის და მშვიდობის შენარჩუნების საქმისადმი მტრული ფაშისტური, მილიტარისტული და სხვა ორგანიზაციების არსებობის არდაშვება; აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიას შორის სავაჭრო ურთიერთობის გაფართოება; ტრანსპორტის, საფოსტო და სატელეგრაფო კავშირის საკითხები; ადამიანთა თავისუფალი მიმოსვლისა და საქონლის თავისუფალი გადაზიდვის საკითხები, მიუხედავად დაწესებული ზონალური საზღვრებისა; აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიას შორის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განვითარება და სხვა საკითხები, რომლებიც ეხება მთელი გერმანელი ხალხის ინტერესებს.

ბ) სრულიად გერმანიის დროებითი მთავრობის მთავარი ამოცანა ამასთან უნდა იყოს სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების მომზადება და მოწყობა, რომლის შედეგადაც თვითონ გერმანელი ხალხი, უცხო სახელმწიფოთა ჩაურევლად, გადაწყვეტს დემოკრატიული გერმანიის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხს.

სრულიად გერმანიის დროებითმა მთავრობამ უნდა შეიმუშაოს პროექტი სრულიად გერმანიის საარჩევნო კანონისა, რომელიც უზრუნველყოფს სრულიად გერმანიის არჩევნების ნამდვილ დემოკრატიულ ხასიათს, ყველა დემოკრატიული ორგანიზაციის მონაწილეობას არჩევნებში და იმას, რომ ამომრჩევლებზე ზეგავლენა არ მოახდინონ მსხვილმა მონოპოლიებმა. მის თავისუფალ გადაწყვეტაზე უნდა იყოს დამოკიდებული იმის აღიარება, რომ მიზანშეწონილია შემოწმდეს მთელ გერმანიაში დემოკრატიული არჩევნების განხორციელებისათვის საჭირო პირობების არსებობა, ისევე როგორც ასეთი პირობების უზრუნველსაყოფ ღონისძიებათა განხორციელება.

ამასთან ერთად, საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია, რომ საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და სსრ კავშირის მთავრობებმა მიიღონ ღონისძიებანი სრულიად გერმანიის არჩევნების მოსაწყობად ნამდვილი თავისუფლების პირობებში, რაც გამორიცხავს რაიმე ზეგავლენას უცხო სახელმწიფოთა მხრივ ამ არჩევნების მოწყობისას.

3. გერმანიის იმ ფინანსურ-ეკონომიურ ვალდებულებათა შემუშავება, რომლებიც დაკავშირებულია ომის შედეგებთან.

ითვალისწინებს რა, რომ გერმანიამ უკვე შეასრულა სსრ კავშირის, საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ ომის შედეგებთან დაკავშირებულ თავის ფინანსურ-ეკონომიურ ვალდებულებათა მნიშვნელოვანი ნაწილი, და ითვალისწინებს რა, რომ საჭიროა შემუშავებულ იქნას გერმანიის ეკონომიური მდგომარეობა, სსრ კავშირის მთავრობას გადაუდებლად მიაჩნია ამასთან დაკავშირებით მიღებულ იქნას სათანადო გადაწყვეტილებანი.

ა) საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია, რომ, 1954 წლის 1 იანვრიდან, გერმანია სავსებით განთავისუფლდეს რეპარაციების გადახდისაგან, აგრეთვე ოთხი სახელმწიფოსათვის ომისშემდგომი სახელმწიფო ვალების გადახდისაგან, გარდა სავაჭრო ვალდებულებებით დავალიანებისა.

ბ) საბჭოთა მთავრობას აგრეთვე საჭიროდ მიაჩნია შეზღუდულ იქნას გერმანიის ტერიტორიაზე ოთხი სახელმწიფოს ჯარების ყოფნასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობა. ამ მიზნით წინადადებაა, რათა წელიწადში ამ ჯარების შენახვის ხარჯების თანხა არ აღემატებოდეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის 5 პროცენტს და ყოველ შემთხვევაში არ აღემატებოდეს 1949 წლის საოკუპაციო ხარჯების თანხას, როცა საოკუპაციო ხარჯების ოდენობაზე გავლენა ჯერ კიდევ არ მოეხდინა ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის შექმნას.

საბჭოთა მთავრობა ამასთან ერთად წინადადებას იძლევა, რომ გერმანია სავსებით განთავისუფლდეს ოთხი სახელმწიფოს საგარეო საოკუპაციო ხარჯების იმ დავალიანების გადახდისაგან, რომელიც შეიქმნა 1945 წლის შემდეგ.

საბჭოთა მთავრობა რწმენას გამოთქვამს, რომ შეთანხმება სსრ კავშირსა, საფრანგეთსა, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის გერმანიის საკითხზე და უკვე უახლოეს დროში ზემოაღნიშნულ წინადადებებზე გადაწყვეტილებათა მიღება ხელს შეუწყობს საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელებას და ამით ხელს შეუწყობს მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებას.

ანალოგიური ნოტები საბჭოთა მთავრობამ გაუგზავნა ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს.

მოსკოვი, 1953 წლის 15 აგვისტო.

(დასასრული მე-3 გვერდზე)

საბჭოთა მთავრობის პროექტი

გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ

გერმანიასთან ომის დამთავრებიდან თითქმის შვიდმა წელმა განვლო, ხოლო გერმანიას ჯერ კიდევ არა აქვს საზავო ხელშეკრულება, იმყოფება გათიშვის მდგომარეობაში, კვლავ არათანასწორუფლებიან მდგომარეობაშია სხვა სახელმწიფოთა მიმართ. ასეთ არანორმალურ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. ეს შეეფერება ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის მისწრაფებას. თუ გერმანიასთან რაც შეიძლება მალე არ იქნა დადებული საზავო ხელშეკრულება, არ შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანი დამოკიდებულება გერმანელი ხალხის კანონიერი ეროვნული ინტერესებისადმი.

გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ევროპაში მშვიდობის განმტკიცებისათვის. გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება შესაძლებელს გახდის საბოლოოდ გადაიჭრას მეორე მსოფლიო ომის შედეგად წამოჭრილი საკითხები. ამ საკითხების გადაჭრით სასიცოცხლოდ დაინტერესებული არიან ევროპის სახელმწიფოები, რომლებიც დაზარალდნენ ჰიტლერული აგრესიით, განსაკუთრებით გერმანიის მეზობლები. გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება ხელს შეუწყობს საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესებას მთლიანად და ამით ხელს შეუწყობს მტკიცე მშვიდობის დამყარებას.

გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების დაჩქარების საჭიროება ნაკარნახევია იმით, რომ საფრთხე გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებისა, რომელმაც ორჯერ გააჩაღა მსოფლიო ომი, აღმოფხვრილი არ არის, რადგან ჯერ კიდევ შეუსრულებელია პოტსდამის კონფერენციის სათანადო დადგენილებანი. გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებამ უნდა უზრუნველყოს გერმანიის მილიტარიზმისა და გერმანიის აგრესიის აღორძინების შესაძლებლობის აღმოფხვრა.

გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება გერმანელ ხალხს შეუქმნის მშვიდობის მტკიცე პირობებს, ხელს შეუწყობს გერმანიის, როგორც ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს განვითარებას პოტსდამის დადგენილებათა შესაბამისად და გერმანელი ხალხისათვის უზრუნველყოფს სხვა ხალხებთან მშვიდობიანი თანამშრომლობის შესაძლებლობას.

ამის მიხედვით საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებმა გადაწყვიტეს დაუყოვნებლივ შეუდგნენ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შემუშავებას.

სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს მიაჩნიათ, რომ საზავო ხელშეკრულების მომზადება უნდა განხორციელდეს გერმანიის მონაწილეობით სრულიად გერმანიის მთავრობის სახით და რომ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება აგებულ უნდა იქნას შემდეგ საფუძვლებზე:

გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საფუძვლები

მონაწილენი

დიდი ბრიტანეთი, საბჭოთა კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, ბელგია, ჰოლანდია და სხვა სახელმწიფოები, რომელნიც თავიანთი შეიარაღებული ძალებით მონაწილეობდნენ გერმანიის წინააღმდეგ ომში.

პოლიტიკური დებულებანი

1. გერმანია აღდგენილ იქნება როგორც ერთიანი სახელმწიფო. ამით ბოლო ეღება გერმანიის გათიშვას და შესაძლებლობა ეძლევა ერთიან გერმანიას განვითარდეს, როგორც დამოუკიდებელი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო.

2. მოკავშირებელ სახელმწიფოთა მთელი შეიარაღებული ძალები გერმანიიდან გაყვანილ უნდა იქნან არა უგვიანეს, ვიდრე ერთი წლის შემდეგ საზავო ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან. ამავე დროს გერმანიის ტერიტორიაზე ლიკვიდირებულ იქნება უცხოეთის ყველა სამხედრო ბაზა.

3. გერმანელი ხალხისათვის უზრუნველყოფილ უნდა იქნას დემოკრატიული უფლებები, რათა გერმანიის იურისდიქციაში მყოფი ყველა პირი, განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა თუ რელიგიისა სარგებლობდეს ადამიანის უფლებებით და ძირითადი თავისუფლებებით, მათ შორის სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის რელიგიური კულტის, პოლიტიკური რწმენისა და კრებების თავისუფლებით.

4. გერმანიაში უზრუნველყოფილ უნდა იქნას დემოკრატიული პარტიებისა და ორგანიზაციების თავისუფალი მოღვაწეობა, მათ უნდა მიენიჭოთ უფლება თავისუფლად გადაწყვიტონ თავიანთი საშინაო საქმეები, გამართონ ყრილობები და კრებები, ისარგებლონ ბეჭდვითი სიტყვისა და გამოცემათა თავისუფლებით.

5. გერმანიის ტერიტორიაზე არ უნდა იქნას დაშვებული დემოკრატიისა და მშვიდობის შენარჩუნების საქმისადმი მტრული ორგანიზაციების არსებობა.

6. გერმანიის არმიის ყველა ყოფილ სამხედრო მოსამსახურეს, მათ შორის ოფიცრებსა და გენერლებს, ყველა ყოფილ ნაცისტს, გარდა იმათი, ვინც იხდის მათ მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის სასამართლოს მიერ გამოტანილ სასჯელს, უნდა მიენიჭოს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები ყველა სხვა გერმანელ მოქალაქეთა თანაბრად, რათა მონაწილეობა მიიღონ მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული გერმანიის მშენებლობაში.

7. გერმანია ვალდებულებას კისრულობს არ შევიდეს რაიმე კოალიციასა ან სამხედრო კავშირში, რომელიც მიმართული იქნება რომელიმე ისეთი სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც თავისი შეიარაღებული ძალებით მონაწილეობდა გერმანიის წინააღმდეგ ომში.

ტერიტორია

გერმანიის ტერიტორია იფარგლება იმ საზღვრებით, რომლებიც დაწესებულ იქნა დიდ სახელმწიფოთა პოტსდამის კონფერენციის დადგენილებებით.

ეკონომიური დებულებანი

გერმანიას არ ეკისრება არავითარი შეზღუდვა მისი მშვიდობიანი ეკონომიკის განვითარებაში, ეკონომიკისა, რომელიც უნდა ემსახურებოდეს გერმანელი ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

გერმანიას არ ექნება აგრეთვე არავითარი შეზღუდვა სხვა ქვეყნებთან ვაჭრობის მხრივ, ზღვაოსნობაში, მსოფლიო ბაზრებზე დაშვებაში.

სამხედრო დებულებანი

1. გერმანიას ნება მიეცემა იყოლიოს თავისი ქვეყნის თავდაცვისათვის საჭირო ეროვნული შეიარაღებული ძალები (სახმელეთო, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო).

2. გერმანიას ნება ეძლევა აწარმოოს სამხედრო მასალები და ტექნიკა, რომელთა რაოდენობა ან ტიპები არ უნდა გასცილდეს იმის ფარგლებს, რაც ესაჭიროება შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც გერმანიისათვის დაწესებულია საზავო ხელშეკრულებით.

გერმანია და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დამდებ სახელმწიფოები მხარს დაუჭერენ გერმანიის მიმართვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მისი მიღების შესახებ.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

ამა წლის 15 აგვისტოს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო სსრ კავშირში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიის მეთაური რუდოლფ აპელტი და გადასცა შემდეგი განცხადება:

საბჭოთა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება 20 აგვისტოს მოსკოვში მოიწვიოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია. საბჭოთა მთავრობა ამასთან ემყარება იმას, რომ ამჟამად მიზანშეწონილია განხილულ იქნას ზოგიერთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი, რომლებიც ეხება საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ურთიერთობის განვითარებას, აგრეთვე მომწიფებული საკითხები, რომლებიც ეხება მთლიანად გერმანიის პრობლემას.

მოსკოვში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის ჩამოსვლამდე საბჭოთა მთავრობას განზრახული აქვს გაუგზავნოს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს ნოტა, სადაც ჩამოყალიბებული იქნება საბჭოთა კავშირის პოზიცია გერმანიის საკითხში და რომელშიც იქნება საბჭოთა მთავრობის შესაბამისი წინადადებანი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის ჩამოსვლა შესაძლებელს გახდის გერმანიის საკითხის დაწვრილებით განხილვას და, როგორც საბჭოთა მთავრობა იმედოვნებს, ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იქნება საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განვითარებაში.

რ. აპელტმა განაცხადა, რომ ამ მიწვევას იგი აცნობებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას.

სტალინგრადის ჰესის მშენებლობაზე

ექსკავატორი შევიდა ელექტროსადგურის ქვაბულში

დაბა ვოლჟსკი (სტალინგრადის ოლქი), 15 აგვისტო. (საკდესი). წარმატებით შრომობენ ამ დღეებში სტალინგრადის ჰესის მშენებლები, კუნძულ პესჩანიზე დამთავრდა ჰესის შენობის გიგანტური ქვაბულიდან წყლის ამოქაჩვა. ამჟამად მისი ფსკერი 10 მეტრით დაბალია ვოლგის წყლის დონეზე. 13 აგვისტოს აქ სანგრევში შევიდა პირველი ექსკავატორი — საბჭოთა კავშირის გმირის ოლეგ კოშევოის სახელობის სამკუბიანი „ურალეცი“ № 613, რომელსაც მართავს „სტალინგრადჰიდრომშენის“ საუკეთესო მეექსკავატორე ივანე ნეტაევი. ამ აგრეგატის ეკიპაჟი ორი თვის განმავლობაში იბრძოდა უფლებისათვის, რომ პირველი კუბური მეტრი გრუნტი ამოეღო ქვაბულიდან.

ავტოთვითსაცლელების მძღოლთა შორის პირველი კუბური მეტრი გრუნტის გატანის უფლება მოიპოვეს სოციალისტური შრომის გმირმა ვასილ როჟნოვმა და მძიმე ავტოთვითსაცლელების ბრიგადირმა იური პრონინმა.

ახლა ქვაბულის სანგრევში შედის კიდევ ხუთი ექსკავატორი.

მშენებლობის მექანიზატორებმა თვენახევრის განმავლობაში ქვაბულიდან უნდა ამოიღონ 1.200 ათასი კუბური მეტრი გრუნტი.

ქარხნის ეკონომისტების ინიციატივა

სტალინო, 15 აგვისტო. (საკდესი). ძვირფასი ინიციატივა გამოიჩინეს სტალინოს უკრაინის კომკავშირის მე-15 წლისთავის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშაკებმა. აქ შეიმუშავეს წარმოების სადღეღამისო აღრიცხვის ახალი სისტემა. თვითეული საამქროსათვის შედგენილია ჩარხოსანთა და მანქანების ამწყობთა მუშაობის გრაფიკი ნორმასაათობით.

დღეღამის გასვლის შემდეგ შეიძლება ზუსტად იქნას დადგენილი, თუ როგორ გამოიყენეს მოწყობილობა. თუ გრაფიკი არ შესრულდა, შეიძლება ოპერატიულად გამოვლინდეს და აღმოიფხვრას ჩარხების მოცდენის მიზეზები. შესაბამისად აგებულია საამქროებისა და საწარმოო უბნების ნამზადით, ინსტრუმენტებით, მნიშვნელოვანი დეტალებით უზრუნველყოფის გრაფიკი.

სადღეღამისო აღრიცხვა ხელს უწყობს საწარმოს რიტმულ მუშაობას. სარედუქტორო საამქროში, რომელიც შახტამწე მანქანის უმნიშვნელოვანეს კვანძებს ამზადებს, ამჟამად ჩარხები დღეღამეში დამატებით 160 ნორმასაათს მუშაობენ. მნიშვნელოვნად გადიდდა მოწყობილობის წარმოება მექანიკურ საამქროებში.

ახლა ქარხანა იმავე ხარჯებით მეტ პროდუქციას უშვებს.

აღრიცხვის ახალმა სისტემამ დიდი ინტერესი გამოიწვია ბევრ საწარმოში. სტალინოს მანქანათმშენებლების მიერ შემუშავებული სქემები და გრაფიკები გაეგზავნათ ხარკოვის ქარხანა „სვეტ შახტიორას“, კონოტოპისა და სკოპინოს მანქანათმშენებელ და სხვა ქარხნებს.

საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატები

სვერდლოვსკი, 15 აგვისტო. (საკდესი). ოლქის სარეწაო კოოპერაცია აფართოებს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატების, პავილიონებისა და სახელოსნოების ქსელს. ფეხსაცმლის, ტანსაცმლის, ლითონის ნაკეთობისა და ავეჯის შემკეთებელი ახალი პავილიონები გაიხსნა კამენსკ-ურალსკში, ნიჟნი ტაგილში, პერვოურალსკში და ოლქის მთელ რიგ სხვა ქალაქებსა და დაბებში. მთავრდება საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის მშენებლობა სეროვში და პავილიონებისა ქალაქ აზბესტში, რევდასა და ვერხნაია პიშმაში.

განზრახულია წლის დამლევამდე ოლქში გაიხსნას 50-ზე მეტი საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი და პავილიონი, მათ შორის მუსიკალური ინსტრუმენტების შემკეთებელი და ტანსაცმლის ქიმიური წმენდის სახელოსნოები.

ლამაზი და გამძლე ტანსაცმელი — საბჭოთა მომხმარებლისათვის

მე-6 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივის კრება. სიტყვას ამბობს სტახანოველი მუშა მ. მარგიშვილი.

ფოტო ვ. ზარიძისა.

კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ღონისძიებებს ახორციელებენ მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქციის, სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრად გადიდებისათვის. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, ისევე, როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, მხურვალედ იწონებენ ამ პოლიტიკას. ისინი დიდი აღმავლობით, საქმიან ვითარებაში განიხილავენ მუშა-მოსამსახურეთა კრებებზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს V სესიის გადაწყვეტილებებს, ამხანაგ გ. მ. მალენკოვის სიტყვას და სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს.

შაბათს, 15 აგვისტოს, საქართველოს მსუბუქი მრეწველობის ერთ-ერთ მოწინავე საწარმოში — თბილისის მე-6 სამკერვალო ფაბრიკაში გაიმართა მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელმაც განიხილა V სესიის შედეგები.

ვაქვეყნებთ კრების ანგარიშს.

გავადიდოთ ნაწარმის წარმოება

კრებაზე უმაღლესი საბჭოს V სესიის შედეგებისა და ფაბრიკის კოლექტივის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა ფაბრიკის მთავარმა ინჟინერმა ამხ. პ. ოსიპოვამ.

— არც ისე დიდი ხნის წინათ — გასული წლის ივნისიდან ჩვენი ფაბრიკა ინდივიდუალური დაკვეთებიდან კოსტიუმებისა და პალტოების მასობრივ შეკერვაზე გადავიდა. ამას წინ უძღოდა საწარმოს სრული რეკონსტრუქცია.

შარშანდელთან შედარებით ფაბრიკის საწარმოო სიმძლავრე ოთხჯერ გაიზარდა. თუ გასულ წელს დღეში 70-80 კოსტიუმს და პალტოს ვკერავდით, ახლა ვკერავთ 240-250 კოსტიუმს, 60 პალტოს, 130-140 სამტვერს.

კოლექტივის ენერგიული შრომის შედეგად შვიდი თვის საწარმოო პროგრამა 4,2 პროცენტის გადაჭარბებით შევასრულეთ. გეგმის გადამეტებით დავამზადეთ 1.203 ათასი მანეთის პროდუქცია—ათასამდე საზაფხულო და სეზონური პალტო, 3.261 კოსტიუმი, აგრეთვე სამტვერები.

ხარისხის მხრივაც გეგმა თუმცა გადაჭარბებით გვაქვს განაღდებული, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ მთლიანად ვერ ვაკმაყოფილებთ საბჭოთა მომხმარებლის გაზრდილ მოთხოვნებს. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ვხვდებით ტექნოლოგიურ გადახვევებს. ამიტომ არც ისე იშვიათი შემთხვევაა პროდუქციის დაბალ ხარისხებში გადაყვანა. სამკერვალო ნაწარმის ხარისხზე ცუდ გავლენას ახდენს ის, რომ არა გვაქვს დასაუთოებელი ახალი სპეციალური მოწყობილობა, დაორთქლებისა და დაუთოებას ხელით ვახდენთ, მაშინ, როცა სხვა საკავშირო ფაბრიკებში ასეთი მოწყობილობა დიდი ხანია აქვთ. ტრესტი კი არ იღებს ზომებს მის შესაძენად.

მაგრამ სწორი არ იქნება, თუ პროდუქციის დაბალ ხარისხებში გადაყვანას ყოველთვის ფაბრიკის ცუდ მუშაობას მივაწერთ, რადგან ზოგჯერ იგი გამოწვეულია ქსოვილის წუნით. ამაში კი ბრალი მიუძღვით იმ საწარმოთა — თბილისის მაუდ-კამვოლისა და აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკების — კოლექტივებს, რომლებიც ძირითადად გვამარაგებენ ქსოვილებით. ისინი ყოველთვის მაღალი ხარისხის ქსოვილს როდი გვაწვდიან, არც საქონლის ფერი გვაკმაყოფილებს, რომ აღარაფერი ვთქვათ გამოყვანაზე, რომელიც სერიოზულ გაუმჯობესებას მოითხოვს.

ახალი მოდელების ტანსაცმელისათვის

დღითიდღე იზრდება საბჭოთა მომხმარებლის გემოვნება — თქვა საექსპერიმენტო საამქროს უფროსმა ამხ. ა. მარქაროვმა — იგი უფრო ლამაზ და კოხტა ტანსაცმელს მოითხოვს. ჩვენ მოვალენი ვართ დავაკმაყოფილოთ მისი სურვილი.

ამ მხრივ დიდი დახმარების გაწევა შეუძლია მოდელების სახლს, რომელიც ახალი მოდელების შექმნაზე მუშაობს, მაგრამ იგი ყოველთვის პირნათლად როდი ასრულებს თავის მოვალეობას. მოვიყვან მარტო ერთ მაგალითს. ამას წინათ წავედი მოდელების სახლში. მინდოდა წამომეღო სამტვერის ახალი ფასონი. მომცეს, მაგრამ რა გამოვიდა, ისე იყო შედგენილი, რომ თვითეულ სამტვერზე რამდენიმე სანტიმეტრით მეტი ქსოვილი უნდა დახარჯულიყო, ვიდრე ეს ნორმებით არის გათვალისწინებული, ეს კი გამოიწვევდა ნედლეულის გადახარჯვას. რა თქმა უნდა, არ წამოვიღე.

ყოველი ახალი მოდელის შექმნის დროს მოდელიერი უნდა ითვალისწინებდეს არსებულ მტკიცე ნორმებს ამა თუ იმ სახის ნაწარმის დასამზადებლად.

მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა მზა ნაწარმის გადაზიდვის შესახებ. ეს საქმე კარგად არ არის მოწყობილი როგორც ახლო ბაზაში, ისე მაღაზიებში მიწოდების დროს.

წარმოების რენტაბელობისათვის

მომხსენებელმა აქ მოიყვანა თვითღირებულების შემცირების მაჩვენებლები, — თქვა ფაბრიკის მთავარმა ბუხჰალტერმა ამხ. ვ. ძველაიამ, — მაგრამ მაინც მინდა მოგაგონოთ, 7 თვეში გეგმით გათვალისწინებული 2,6 პროცენტის ნაცვლად პროდუქციის თვითღირებულება შევამცირეთ 3,9 პროცენტით. ეს, რა თქმა უნდა, კარგია. მაგრამ ურიგო არ იქნება გავიხსენოთ — კიდევ უფრო მეტი წარმატება გვექნებოდა, ფაბრიკას სავაჭრო ორგანიზაციების პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად 20 ათასამდე მანეთი რომ არ გადაეხადა რეკლამაციის სახით.

ზოგი იტყვის, წარმოებისათვის არც ისე დიდი თანხაა, სალაპარაკოდ არ ღირსო. რატომ, ამხანაგებო, როდესაც შეიძლება ისე ვიმუშაოთ, რომ 20 ათასი მანეთი კი არა, ერთი კაპიკიც არ დავკარგოთ.

ავიღოთ თუგინდ მეორე საკითხი. პროდუქციის თვითღირებულების უდიდეს ნაწილს — 90 პროცენტს ქსოვილი შეადგენს, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნედლი მასალის მთლიანად, რაციონალურად გამოყენებას, ნარჩენების მინიმუმამდე შემცირებას. მაგრამ განა ეს იმაზე მეტყველებს, რომ მარტო ქსოვილის დაზოგვისათვის ვიზრუნოთ. და რაკი ფურნიტურა შედარებით იაფია, ამიტომ ნაკლებად უნდა ვიბრძოლოთ მისი ეკონომიისათვის. მაშ რატომ არ არის მოწესრიგებული აგრეგატებზე ფურნიტურის ხარჯვის აღრიცხვა.

საჭიროა გავაჩაღოთ ბრძოლა არა მარტო ქსოვილის მომჭირნეობისათვის, არამედ კომპლექსურად — ყველა დამხმარე მასალის ეკონომიისათვის. მხოლოდ ასე მივაღწევთ პროდუქციის თვითღირებულების განუწყვეტელ შემცირებას, წარმოების რენტაბელობას.

დავზოგოთ ნედლეული

ქსოვილების გამზომმა სტახანოველმა მუშამ მ. მარგიშვილმა ილაპარაკა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ნედლეულის ეკონომიის შესახებ.

— მთავარი ბუხჰალტერი უკვე შეეხო ნედლეულის მომჭირნეობით ხარჯვისა და თვითღირებულების შემცირების საკითხს. ჩემს მუშაობაზე — ქსოვილის სიგანისა და სიგრძის ზუსტად გაზომვაზე — მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქსოვილის მთლიანი გამოყენება, მომჭირნედ გამოჭრა და მაშასადამე, ნარჩენების შემცირება.

ყოველნაირად ვცდილობ ჩემი მოვალეობა ისე შევასრულო, რომ გამომჭრელს მუშაობა გაუადვილო. მომავალშიც ვეცდები კიდევ უფრო ავამაღლო მუშაობის ხარისხი. ვალდებულებას ვკისრულობ ყოველდღიური დავალება ორმაგად გავანაღდო.

რა გვიშლის ხელს

პირველი შემკერავი საამქროს უფროსი ამხ. თამარ ცქვიტინიძე ძირითადად შეჩერდა იმ ხელშემშლელ პირობებზე, რომლებიც აფერხებს როგორც საამქროს, ისე მთელი წარმოების მუშაობას.

გუშინ ჩვენმა საამქრომ ფაბრიკის გარდამავალი წითელი დროშა მიიღო. არა გვყავს ისეთი მუშა, რომელიც გამომუშავების ნორმებს ვერ ასრულებდეს. ივლისის დავალება 117 პროცენტით გავანაღდეთ.

წარმატებები კიდევ მეტი გვექნებოდა, რომ სათანადოდ გვქონდეს მოწყობილი სამუშაო ადგილი. ავიღოთ, მაგალითად, სამუშაო ფართობი. მუშები დიდ სივიწროვეს განიცდიან, დაბალია სანიტარულ-ტექნიკური ნორმები. სკამები ისეთი არ არის, როგორიც მკერავს სჭირდება. ეს იციან ზემდგომმა პარტიულმა ორგანოებმა, რამდენჯერმე გამოიყო კომისიებიც, რომლებიც სწავლობდნენ წარმოების გაფართოების საკითხს, მაგრამ მათ მუშაობას დღემდე არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

დაუთოების ხარისხი დაბალია. რატომ? იმიტომ, რომ უთოები არ გვყოფნის, ელექტროენერგია სუსტია.

არაერთხელ გვსმენია სავაჭრო ორგანიზაციების წარმომადგენელთა საყვედურები, განსაკუთრებით ძვირფასი ქსოვილების ტანსაცმლის გამოყვანაზე. ისინი მართალი არიან. მაგრამ განა ის სწორია, რომ დღემდე ძვირფას და სხვა ქსოვილებს ყველას ერთნაირი ტექნოლოგიით ვამზადებთ? ძვირფასი კოსტიუმებისათვის სპეციალური აგრეგატი უნდა იყოს და თვითეული ოპერაციაც მეტი პასუხისმგებლობით უნდა სრულდებოდეს. მაგრამ ასე როდია. დირექციამ უნდა მიიღოს ზომები, გამოასწოროს მდგომარეობა.

მომხმარებელთა პრეტენზიები

— ეს არის ლაპარაკი დაამთავრა, — აცხადებს ტანსაცმლის სპეციალიზებული № 3 საფირმო მაღაზიის დირექტორის მოადგილე ამხ. ნ. ფალავანდიშვილი, — „გლავტორგოდეჟდის“ ბაზის უფროსმა წუნმდებელმა ამხ. ტატოევმა. მან გაჩვენათ დამახინჯებულად შეკერილი პიჯაკი, რომელიც თქვენი ფაბრიკიდან მიიღეს. თუმცა ასეთი შემთხვევა იშვიათია, მაგრამ ეს მაინც იმას მოწმობს, რომ ტექნიკური კონტროლი სუსტია.

ფაბრიკის ნაწარმით მომხმარებლები ძირითადად კმაყოფილი არიან. მაგრამ ზოგჯერ თქვენს მაგივრად ჩვენ ვწითლდებით, როდესაც მყიდველები სამართლიანად უსაყვედურებენ მაღაზიას, თუ რატომ არა აქვთ დიდი ზომის ტანსაცმელი, იძულებული ვართ თავი ვიმართლოთ და ვუთხრათ: ფაბრიკა არ კერავს, საიდან მოვიტანოთ?

ზოგჯერ ფაბრიკა ანგარიშს არ უწევს კლიენტებს, არ სწავლობს მათ მოთხოვნებს, ამას წინათ თქვენთან მერინოსის ქსოვილის მამაკაცისა და ქალის კოსტიუმები შეკერეს. მამაკაცისა უმალვე გაიყიდა, ქალისა კი თვეობით გვეწყო, რატომ? იმიტომ, რომ ქალები უფრო ნაზი ქსოვილისა და უფრო ფაქიზად შეკერილ ტანსაცმელს ატარებენ. ფაბრიკამ კი ეს არ გაითვალისწინა. ასევე იყო, როცა მამაკაცის საზაფხულო პალტოები დაამზადეს ე. წ. გაზაფხულის ქსოვილიდან. მამაკაცები არ ეკარებოდნენ, ქალები იძენდნენ, რომ მერე გადაეკეთებინათ. ტყუილად გგონიათ, ამხანაგებო, რომ რასაც დაამზადებთ, ყველაფერი გასაღდება, საბჭოთა მომხმარებელი მშვენივრად არჩევს კარგსა და ცუდს.

ურიგო არ იქნება, რომ თქვენი წარმომადგენლები შემოივლიდნენ მაღაზიაში, ყურს დაუგდებდნენ მყიდველთა შენიშვნებს, ეს საგრძნობლად დაგეხმარება მუშაობაში.

ვალდებულებანი და წინადადებანი

საერთო კრების დადგენილებიდან

თბილისის მე-6 სამკერვალო ფაბრიკის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა საერთო კრება ერთსულოვნად იწონებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს V სესიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და აუცილებლად მიაჩნია, რომ ეს გადაწყვეტილებანი საფუძვლად დაედოს ფაბრიკის მთელ მუშაობას.

ფაბრიკის კოლექტივის ძირითადი ამოცანა უნდა გახდეს პროდუქციის გამოშვების ყოველმხრივი გადიდება, მისი ხარისხის გაუმჯობესება და თვითღირებულების სისტემატური შემცირება.

⊙ სასაქონლო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა შევასრულოთ ვადამდე და გეგმის გადამეტებით მივცეთ ქვეყანას 2.233 ათასი მანეთის პროდუქცია. პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება გეგმასთან შედარებით გავადიდოთ 1,5 პროცენტით. შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება 1,5 პროცენტით მეტად, ვიდრე ეს გეგმით არის გათვალისწინებული.

⊙ დაევალოს ფაბრიკის დირექციას უზრუნველყოს საამქროთა რიტმული მუშაობა, ტექნოლოგიური პროცესების მტკიცედ დაცვა და წარმოების კულტურის ამაღლება.

⊙ დაისვას საკითხი საქართველოს „გლავშვეიპრომის“ ტრესტისა და „გლავტექსტილსბიტის“ რესპუბლიკური ბაზის წინაშე — მიიღონ ზომები, რათა ფაბრიკა უზრუნველყონ ქსოვილებით და დამხმარე მასალებით დაგეგმილი ასორტიმენტის პროდუქციის შესაბამისად.

⊙ ეთხოვოს საქართველოს სსრ მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროს დაავალოს თბილისის მაუდკამვოლის ფაბრიკა „საბჭოთა საქართველოს“ და აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკას, რომლებიც ძირითადად ნედლეულს გვაწვდიან, გამოუშვან მაღალი ხარისხის, ღია ფერის ქსოვილები, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მათ შეღებვასა და გამოყვანას.

⊙ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა საერთო კრება არწმუნებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ ჩვენი ფაბრიკის მიერ გამოშვებული პროდუქცია არამარტო მკვიდრი იქნება, არამედ ლამაზიც.

კომუნისტი

სამშაბათი, 18 აგვისტო, 1953 წ. № 194 (9962).

საბჭოთა არმიის მიერ კორეის განთავისუფლების მე-8 წლისთავი

საზეიმო სხდომა ფხენიანში

ფხენიანი, 15 აგვისტო. (საკდესი). გუშინ საღამოს ფხენიანში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა არმიის მიერ იაპონიის კოლონიური უღლისაგან კორეის განთავისუფლების მე-8 წლისთავს. დარბაზში შეიკრიბნენ პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, წარმოების მოწინავეები, მოსამსახურეები, ახლომახლო სოფლების გლეხები, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკები. სხდომას დაესწრნენ აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამხ. სუზდალევი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლები.

შეკრებილნი ტაშის გრიალით შეხვდნენ პრეზიდიუმში ამხანაგების კიმ ირ სენის, კიმ დუ ბონის, პაკ დენ აის, პაკ ჩენ ოკის და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და კორეის შრომის პარტიის სხვა ხელმძღვანელების გამოჩენას.

საბჭოთა არმიის მიერ კორეის განთავისუფლების მე-8 წლისთავის შესახებ მოხსენება გააკეთა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ პაკ ჩენ ოკმა.

მომხსენებელმა, კერძოდ, ხაზგასმით აღნიშნა, რომ კორეაში დაზავება მშვიდობისა და დემოკრატიის მთელი ბანაკის გამარჯვებაა.

თავისი მოხსენების მნიშვნელოვანი ნაწილი პაკ ჩენ ოკმა უძღვნა იმ ამოცანებს, რომლებიც კორეელი ხალხის წინაშე დგას კორეის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და მშვიდობიანი გაერთიანების საქმეში. მომხსენებელმა მოიყვანა ამხანაგ გ. მ. მალენკოვის მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე წარმოთქმული სიტყვის ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია საბჭოთა მთავრობის მიერ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისათვის დახმარების გაწევაზე და თქვა:

— დღეს მთელი კორეელი ხალხი მადლობას უძღვნის დიდ საბჭოთა ხალხს—თავის განმათავისუფლებელსა და დამცველს, მადლობას უძღვნის საბჭოთა მთავრობას.

პაკ ჩენ ოკმა კორეელი ხალხის მადლობა უძღვნა აგრეთვე დიდ ჩინელ ხალხს და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხებს.

სხდომაზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის ელჩმა კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამხ. სუზდალევმა.

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IV მსოფლიო ფესტივალზე

დაიხურა ახალგაზრდობის საერთაშორისო სპორტული ამხანაგური შეჯიბრებები

ბუქარესტი, 15 აგვისტო. (საკდესი). 23 აგვისტოს სახელობის სტადიონზე დღეს გაიმართა ფინალური შეხვედრები ხელბურთსა და ფეხბურთში.

გამარჯვებულებს გადაეცათ საპატიო თასები და მედლები.

შემდეგ გაიმართა დროშების პარადი. ტრიბუნებთან საზეიმო ვითარებაში ჩაატარეს დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის, სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის დროშები, მშვიდობის დროშები და საერთაშორისო სპორტული ასპარეზობის მონაწილე ქვეყნების ეროვნული ალმები.

შეკრებილთ სიტყვით მიმართა ფესტივალის სპორტული ასპარეზობის მომწყობი საერთაშორისო კომისიის თავმჯდომარემ მ. ბოდნარაშმა. მან მოუწოდა კიდევ უფრო ენერგიულად იბრძოლონ მთელ მსოფლიოში ყველაზე დიდი სიკეთისათვის — მშვიდობისა და მეგობრობისათვის.

მ. ბოდნარაშმა შეჯიბრება დახურულად გამოაცხადა. დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნის ხმაზე დაუშვეს ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IV მსოფლიო ფესტივალის საერთაშორისო სპორტული ამხანაგური ასპარეზობის დროშა.

როგორც ცნობილია, ამხანაგურმა სპორტულმა შეხვედრებმა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IV მსოფლიო ფესტივალზე დიდი წარმატებით ჩაიარა. შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდა 54 ქვეყნის 4.366 სპორტსმენი. მარტო მძლეოსანთა შეჯიბრებაში დამყარებულ იქნა 55 ახალი ეროვნული რეკორდი, სიმძიმეთა აწევაში — 18 ეროვნული რეკორდი და სხვ.

ბუქარესტი, 15 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IV მსოფლიო ფესტივალზე დამთავრდა საერთაშორისო სპორტული ამხანაგური შეჯიბრებანი.

საბჭოთა სპორტსმენებმა ფესტივალზე მოიპოვეს 333 მედალი, მათ შორის 202 ოქროსი, 72 ვერცხლისა და 59 ბრინჯაოსი.

გაფიცული მუშების გამარჯვება იტალიაში

რომი, 15 აგვისტო. (საკდესი). გაზეთი „უნიტა" იუწყება, რომ დამთავრდა გაფიცვა, რომელშიც მონაწილეობდა ბოსტნეულის კონსერვების წარმოების 60 ათასი მშრომელი. ამ გაფიცვამ, რომელიც გამოაცხადეს იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციაში, „იტალიის მშრომელთა პროფკავშირების კონფედერაციაში" და „იტალიის შრომის კავშირში" შემავალმა პროფკავშირებმა, დიდი წარმატებით ჩაიარა. ჩრდილოეთ იტალიის მრეწველებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ხელფასის გადიდების შესახებ. ცენტრალური და სამხრეთ იტალიის ბევრმა ფირმამ აგრეთვე დააკმაყოფილა მუშათა მოთხოვნები.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ახალი კურსი და ღონისძიებანი, რომლებსაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ახორციელებს, უზრუნველყოფენ მუშების, გლეხების, ინტელიგენციისა და მოსახლეობის სხვა ფენების საარსებო დონის ამაღლებას. სულ უფრო უმჯობესდება მშრომელთა ცხოვრების პირობები.

მოსახლეობის მყიდველობითი უნარი 1953 წელს წინა წელთან შედარებით დაახლოებით 2 მილიარდი მარკით იზრდება. მნიშვნელოვნად გაიზარდა ფართო მოხმარების საქონლისა და კვების პროდუქტების წარმოება. ფართოვდება სავაჭრო ქსელი ქალაქებსა და სოფლებში.

რესპუბლიკის დედაქალაქში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მშენებლობას. სამშენებლო სამუშაოები ფართოდ გაიშალა ქალაქის მთავარ მაგისტრალზე — სტალინ-ალეაზე.

სურათზე: ახალი სახლები სტალინ-ალეაზე (ზევით), სოფელ ლანგხაგენის (შვერინის ოლქი) მომხმარებელთა საზოგადოების მაღაზიის საფეიქრო ნაწარმის განყოფილებაში (ქვევით).

ფოტო ე. უდოვიჩენკოსი (საკდესი) და ცენტრალბილდისა.



ევროპის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ

კომუნიკე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის საკითხთა ეკონომიური კომისიის მოხსენების შესახებ

ბერნი, 15 აგვისტო. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საინფორმაციო ცენტრმა ჟენევაში გამოაქვეყნა კომუნიკე ევროპის ეკონომიურ მდგომარეობაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის საკითხთა ეკონომიური კომისიის მოხსენების შესახებ.

კომუნიკეში მოცემულია ამ მოხსენების ძირითად განყოფილებათა მოკლე მიმოხილვა.

ეკონომიური მდგომარეობის საერთო მიმოხილვაში აღნიშნულია, რომ 1953 წლის მეორე კვარტალი „აღინიშნა მნიშვნელოვანი ცვლილებებით" აღმოსავლეთ ევროპის ეკონომიურ პოლიტიკაში. კომუნიკეს მიხედვით ეს ცვლილებანი გამოიხატა აღმოსავლეთ ევროპის მეტ წილ ქვეყნებში მოხმარების პროდუქტების წარმოების გადიდებით. კომუნიკეში ჩამოთვლილია მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც აღმოსავლეთ გერმანიაში განხორციელდა 1953 წლის ივნისის დამლევიდან და რომელთა შედეგადაც „ამაღლდა ცხოვრების დონე". კომუნიკე აღნიშნავს „სამრეწველო წარმოების გეგმების გადასინჯვას მსუბუქი მრეწველობისათვის ხელსაყრელი მიმართულებით", „საბინაო მშენებლობის პროგრამის გაფართოებას" და „სოფლის მეურნეობის კაპიტალდაბანდებათა გადიდებას" უნგრეთში და „ფულის ფართო რეფორმის განხორციელებას ინფლაციისათვის ბოლოს მოსაღებად" ჩეხოსლოვაკიაში.

სათაურით „ფასების შემცირება სსრ კავშირში" კომუნიკე იუწყება: „საცალო ვაჭრობაში ფასების შემცირება, რაც, ასე ვთქვათ, ტრადიციული გახდა, განხორციელდა 1 აპრილს. ფასების შემცირება შეეხო მოხმარების თითქმის ყველა პროდუქტს...".

განყოფილებაში „სამრეწველო წარმოება დასავლეთ ევროპაში" კომუნიკე აღნიშნავს, რომ „სამრეწველო წარმოების დაქვეითება 1953 წლის პირველ კვარტალში წინა კვარტალთან შედარებით საერთოდ უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე შარშან. თუ შევადარებთ 1953 წლის პირველ კვარტალს 1952 წლის პირველ კვარტალს, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ წარმოება 5 პროცენტით შემცირდა საფრანგეთში, ბელგიაში, ლუქსემბურგში, ავსტრიაში, ფინეთსა და საბერძნეთში; მარტო დასავლეთ გერმანიაში, ჰოლანდიასა და იტალიაში აღინიშნება პროგრესი. მდგომარეობას ახასიათებს კონტრასტი მოხმარების პროდუქტების მრეწველობის განუწყვეტელ აღდგენასა და სამრეწველო მოწყობილობის წარმოების დაქვეითებას შორის. ომის შემდეგ ავტომანქანების წარმოება პირველად განიცდის მოთხოვნის სეზონურ დაქვეითებას, განსაკუთრებით საფრანგეთსა და დასავლეთ გერმანიაში. დიდ ბრიტანეთში მსუბუქი ავტომანქანების წარმოება კვლავ დიდდებოდა, მაგრამ ექსპორტმა შთანთქა მთელი პროდუქციის მხოლოდ ნახევარი ნაცვლად პროდუქციის $4/5$-ისა ერთი წლის წინათ".

კომუნიკე „პარადოქსალურ" მოვლენად აღნიშნავს საფრანგეთის მშენებელ მუშათა შორის უმუშევრობას, მაშინ როცა ბინებზე უდიდესი მოთხოვნილებაა.

დამთავრდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სამართლის კომისიის სესია

ჟენევა, 15 აგვისტო. (საკდესი). გუშინ აქ მუშაობა დაამთავრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სამართლის კომისიის მეხუთე სესიამ, რომელიც 1 ივნისს დაიწყო. კომისია, რომელიც შედგება მსოფლიოს სხვადასხვა უფლებრივი სისტემის წარმომადგენელი ექსპერტი იურისტებისაგან, ამოცანად ისახავს მოახდინოს საერთაშორისო სამართლის ზოგიერთ ნორმათა სისტემატიზაცია და შესაბამისი პროექტები წარუდგინოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას.

მეხუთე სესიაზე კომისიამ მოამზადა პროექტი კონვენციისა სახელმწიფოთშორისი არბიტრაჟის შესახებ, აგრეთვე ორი კონვენციის პროექტები: ერთი — მომავალში უმოქალაქეობის შემთხვევათა მოსპობის შესახებ, მეორე — ასეთ შემთხვევათა შემცირების შესახებ.

გარდა ამისა, ჩამოყალიბებულია ზოგიერთი მუხლი, რომელიც ეხება გაშლილი ზღვის რეჟიმს, კერძოდ, მუხლები, რომლებიც განსაზღვრავენ გაშლილ ზღვაში მყოფ წყალქვეშა კონტინენტურ მეჩეჩთა უფლებრივ მდგომარეობას, ასეთი მეჩეჩის წიაღის დამუშავების მზარდ ტექნიკურ შესაძლებლობასთან დაკავშირებით (მაგალითად, ნავთობის ამოღება და სხვ.).

როცა კომისია განიხილავდა არბიტრაჟის კონვენციის პროექტს, სამართლის საბჭოთა სისტემის წარმომადგენელმა პროფესორმა ფ. ი. კოჟევნიკოვმა, რომელიც დაეთანხმა ამ საკითხზე სამართლისა და პრაქტიკის უდავო პრინციპებს, გაილაშქრა პროექტის იმ დებულებათა წინააღმდეგ, რომლებიც ამახინჯებენ არბიტრაჟის ბუნებას და არბიტრაჟს აქცევენ ერთგვარ ზეეროვნულ სასამართლოდ, რომელიც თვითნებურად უკარნახებს სუვერენულ სახელმწიფოებს თავის გადაწყვეტილებებს. იმის მიხედვით, რომ საერთაშორისო ცხოვრების ყოველი სადავო და გადაუჭრელი საკითხი შეიძლება მშვიდობიანი გზით გადაწყდეს დაინტერესებული ქვეყნების ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე, მან გაილაშქრა პროექტის წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვს დავა გადაწყდეს ეგრეთწოდებული „დამოუკიდებელი არბიტრაჟის" მხრივ დიქტატის გზით.

პროექტის წინააღმდეგ გაილაშქრეს აგრეთვე დოქტორმა ჟუორეკმა (ჩეხოსლოვაკია) და მთელ რიგ შემთხვევებში ელ-ხურიმ (სირია). ამ პროექტისათვის კომისიაში კენჭისყრის დროს კოჟევნიკოვმა და ჟუორეკმა წინააღმდეგ მისცეს ხმა, ელ-ხურიმ თავი შეიკავა.

გერმანიაში საფრანგეთის, საბჭოთა კავშირის, ამერიკისა და ინგლისის სამხედრო ხელისუფალთა წარმომადგენლების სხდომა საჰაერო უშიშროების საკითხებზე

ბერლინი, 15 აგვისტო. (საკდესი). 14 აგვისტოს ბერლინში საფრანგეთის სამხედრო ადმინისტრაციის შენობაში გაიმართა საფრანგეთის, საბჭოთა კავშირის, ამერიკისა და ინგლისის სამხედრო ხელისუფალთა წარმომადგენლების მორიგი სხდომა საჰაერო უშიშროების საკითხებზე.

საფრანგეთის დელეგაციას მეთაურობდა ავიაციის დივიზიის გენერალი ლ. მონტრელე, საბჭოთა დელეგაციას — ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი ი. დ. პოდგორნი, ამერიკის დელეგაციას — ავიაციის ბრიგადის გენერალი რ. ე. ბიბი, ბრიტანეთის დელეგაციას — ავიაციის პოლკოვნიკი ფ. ს. სტაპელტონი.

სხდომაზე გრძელდებოდა თვითმფრინავებს შორის ჰაერში ვიზუალური სიგნალების ახალი სისტემის გამოყენების საკითხის, აგრეთვე სხვა საკითხების განხილვა.

შემდეგი სხდომა გაიმართება ბერლინში საბჭოთა კავშირის ხელისუფალთა შენობაში; სხდომის დღე და დრო დადგენილი იქნება უფრო გვიან.

ავსტრიაში საბჭოთა ინფორმაციის სამსახურის ცნობა

ვენა, 15 აგვისტო. (საკდესი). ავსტრიაში საბჭოთა ინფორმაციის სამსახურმა შემდეგი ცნობა გამოაქვეყნა:

სსრ კავშირის უმაღლესმა კომისარმა ავსტრიაში ი. ი. ილიჩევმა 1953 წლის 15 აგვისტოს შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა ავსტრიის ფედერალურ კანცლერს იულიუს რააბს:

„ბატონო კანცლერო! სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით, რომელიც თავს დაატყდა ქვემო ავსტრიის ზოგიერთ რაიონს 1953 წლის 27 ივლისს, საბჭოთა ხელისუფლებმა მიიღეს გადაწყვეტილება საიჯარო ქირის მორიგი შესატანისაგან, აგრეთვე ნარჩენთა გადახდისაგან გაათავისუფლონ ავსტრიაში საბჭოთა ქონების სამმართველოს მიწების წვრილი მოიჯარენი, რომელნიც ამ რაიონებში იმყოფებიან და ამ უბედურებისაგან დაზარალდნენ".

ირანის ამბები

პარიზი, 16 აგვისტო. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი თეირანიდან იტყობინება:

15 აგვისტოს ღამით ჯარებმა, რომლებიც მხარს უჭერენ ირანის შაჰს, სცადეს სახელმწიფო გადატრიალების მოხდენა. საგარეო საქმეთა მინისტრი ფატემი დააპატიმრეს. თავს დაესხნენ პრემიერ-მინისტრის დოქტორ მოსადიკის სახლს.

16 აგვისტოს დილაადრიან ჯარებმა, რომლებიც მხარს უჭერენ მოსადიკის მთავრობას, აღადგინეს წესრიგი. მეამბოხენი დაპატიმრებული არიან. მეამბოხეების მიერ დაპატიმრებული პირები გაათავისუფლეს.

პარიზი, 16 აგვისტო. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი თეირანიდან იტყობინება:

ირანის კარის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ამინი დაპატიმრებულია.

პარიზი, 16 აგვისტო. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი თეირანიდან იუწყება, ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფატემიმ 15 აგვისტოს მომხდარი ამბების გამო პრესის წარმომადგენლებს განუცხადა: „დაუჯერებელია, რომ ირანის შაჰს არ სცოდნოდა შეთქმულების მომზადება".

თეირანი, 16 აგვისტო. (საკდესი). ირანის რადიომ გამოაქვეყნა ირანის მთავრობის განცხადება, რომ 15 აგვისტოს ღამით შეთქმულთა ჯგუფმა, რომელიც დაეყრდნო შაჰის გვარდიის ქვეგანაყოფებს, პოლკოვნიკ ნასირის სარდლობით სცადა მოეხდინა სახელმწიფო გადატრიალება. შაჰის გვარდიის შეიარაღებულმა ჯარისკაცებმა დააპატიმრეს საგარეო საქმეთა მინისტრი ფატემი, გზათა და კავშირგაბმულობის მინისტრი საქშენასი და მეჯლისის (ამჟამად დათხოვნილია. — რედ.) დეპუტატი ინჟინერი ზირაქზადე და გაგზავნეს ისინი საადაბადის სასახლეში. გარდა ამისა, შეთქმულებმა სცადეს დაეპატიმრებინათ ირანის არმიის გენერალური შტაბის უფროსი. ამ მიზნით ისინი წავიდნენ მასთან ბინაზე, მაგრამ იგი ამ დროს გენერალური შტაბის შენობაში იყო.

პოლკოვნიკი ნასირი შეიარაღებულ ჯარისკაცებთან ოთხი სატვირთო მანქანის, სამი „ვილისის" და ერთი ჯავშნიანი მანქანის თანხლებით მივიდა პრემიერ-მინისტრ მოსადიკის რეზიდენციასთან, რათა დაეპატიმრებინა მოსადიკი. მაგრამ აქ თვითონ პოლკოვნიკი ნასირი დააპატიმრა მოსადიკის რეზიდენციის ახლოს დაყენებულმა მცველთა რაზმმა.

შეთქმულებმა მოახერხეს მოეშალათ სატელეფონო კავშირი გენერალურ შტაბსა და ბაგერშაჰის გარნიზონს შორის. ბაგერშაჰში შეთქმულებმა დააპატიმრეს გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე. სატელეფონო კავშირი მოშალეს აგრეთვე ქალაქის სხვა პუნქტებთან, რომლებსაც პირველ რიგში უნდა დასხმოდნენ თავს.

ცნობაში შემდეგ ნათქვამია, რომ 16 აგვისტოს დილის 5 საათზე შეთქმულები დააპატიმრეს, ხოლო მათ მიერ შეპყრობილი პირები გაათავისუფლეს.

როგორც თეირანის რადიო იუწყება, ირანის ხელისუფლებმა დააპატიმრეს კარის მინისტრის მოვალეობის ამსრულებელი ამინი და შაჰის კარის ერთ-ერთი მოსამსახურე სახელად ბებუდი.

თეირანი, 16 აგვისტო. (საკდესი). როგორც თეირანის რადიო იუწყება, ირანის პრემიერ-მინისტრმა მოსადიკმა გამოაცხადა, რომ მე-17 მოწვევის მეჯლისი დათხოვნილია.

ფეხბურთი

სპარტაკელთა ბრწყინვალე გამარჯვება

კვირას, 16 აგვისტოს, თბილისის „სპარტაკის" ფეხბურთელთა კოლექტივი „დინამოს" სტადიონზე შეხვდა დონის როსტოვის „ტორპედოს".

თამაშის დასაწყისიდანვე თბილისელთა უპირატესობა აშკარა გახდა. ანგარიში გაიხსნა მე-7 წუთზე. თბილისელ ფეხბურთელთა მიერ გათამაშებული ლამაზი კომბინაცია გოლით დაგვირგვინდა. ამის შემდეგ თამაში მეტწილად ტორპედოელთა საჯარიმო მოედანზე მიმდინარეობდა და ბურთებიც მათ კარში გადიოდა.

შეჯიბრების პირველი ნახევარი დამთავრდა „სპარტაკის" სასარგებლოდ ანგარიშით 6:0.

მეორე ტაიმი სტუმრებმა ენერგიულად დაიწყეს. მე-14 წუთზე ტორპედოელებმა თავი დააღწიეს შეჯიბრების მშრალი ანგარიშით დამთავრებას და „სპარტაკის" კარში საპასუხო ბურთი გაიტანეს.

ამის შემდეგ ინიციატივა კვლავ ხელთ იგდეს თბილისელმა ფეხბურთელებმა, რომლებმაც დამატებით 4 ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში და შეჯიბრება მოიგეს ანგარიშით 10:1.

XV საფაბრიკო-საქარხნო სპარტაკიადა

თბილისის XV ტრადიციული საფაბრიკო-საქარხნო სპარტაკიადა დასასრულს უახლოვდება.

საინტერესოდ მიმდინარეობს შეჯიბრება პირველ ჯგუფში. მძლეოსანთა კოლექტივებს შორის გამარჯვებული გამოვიდა თბილისის 26 კომისრის რაიონის გუნდი. ამავე გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა ჭადრაკსა და ცურვაში.

ფრენბურთელთა გუნდების ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღო ორმოცმა გუნდმა. გამარჯვებულები გამოვიდნენ თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის ქალთა და 26 კომისრის რაიონის ვაჟთა გუნდები.

სროლაში ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სპორტსმენთა კოლექტივი. მიმდინარეობს შეჯიბრება კალათბურთში, რაც 8 დღეს გაგრძელდება.

მეორე ჯგუფში ყველაზე უკეთესი შედეგები მოიპოვეს: მძლეოსნობაში — კალინინის სახელობის ქარხნის სპორტსმენთა კოლექტივმა, ცურვაში — შამპანური ქარხნის გუნდმა.

სოფლის მოჭადრაკეთა შეჯიბრება

ფოთი, 17 აგვისტო. (საკდესი). აქ მოეწყო რესპუბლიკური შეჯიბრება ჭადრაკში სასპორტო საზოგადოება „კოლმეურნის" 1953 წლის პირველობაზე.

შეჯიბრებაში პირველი ადგილი და „კოლმეურნის" 1953 წლის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ფოთელმა მოჭადრაკემ ნ. ცომაიამ. მეორე ადგილზე გამოვიდა რ. ქუონია (მახარაძე), მესამეზე — დ. სორდია (სუხუმი), მეოთხეზე — გ. ტაბიძე (ქობულეთი).

ქალთა შორის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ო. შათირიშვილმა (მახარაძე).

სასამართლოს დარბაზიდან

ბანდიტები

გამოურკვეველი პროფესიის მქონე მ. იაშალოვი წლების განმავლობაში ეწეოდა მოქალაქეთა ძარცვას. იგი რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული ქურდობისათვის, აზარტული თამაშისა და იარაღის უნებართვოდ ტარებისათვის.

1953 წ. დასაწყისში მ. იაშალოვმა თავის გარშემო შემოიკრიბა ნაძირალები — ნ. გოგიაშვილი, კ. ბიქოშვილი, ჯ. სარქისოვი და ა. დავთიანი. 8 იანვარს ბიქოშვილმა სამ უცნობ პირთან ერთად გაიტყუა ტაქსი ქალაქგარეთ და მოკვლის მუქარით მძღოლი გაძარცვა. 8 თებერვალს ეს ბანდიტები თავს დაესხნენ ბელინსკის ქუჩაზე საკოლმეურნეო ღვინის წერტს, სცემეს წერტის გამგეს და ფული გაიტაცეს. 25 თებერვალს ღამით ბანდიტებმა გაძარცვეს გრიბოედოვის ჩიხში სამი მოქალაქე, გახადეს მათ პალტოები, მოქალაქე ნ-ს მოხსნეს მაჯის საათი, ბეჭდები და მიიმალნენ. 20 მარტს იაშალოვმა და გოგიაშვილმა კისისხევის ქუჩაზე ფოსტის დამტარებელს ფ-ს მოსტაცეს სახელმწიფო ფული. ამავე თვეში ბანდა თავს დაესხა ბაქოს ქუჩაზე მიმავალ მოქალაქეს ა-ს. წაართვა მას შავმურა მელიის ტყავი და მოუნდომეს შეურაცხყოფის მიყენება. ამ მომენტს შეესწრო შემთხვევით გამვლელი და მიეშველა დაზარალებულს. ბანდიტებმა მიმშველებელი მძიმედ დაჭრეს.

მილიციის თანამშრომლებმა ბანდის მეთაურის იაშალოვის კვალს მიაგნეს. ბანდიტებმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს, რომლის დროსაც იაშალოვი მოკლულ იქნა. იმავე დღეს დააპატიმრეს ბანდის დანარჩენი წევრები.

ბანდიტები წარსდგნენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის წინაშე. სასამართლომ გოგიაშვილს, ბიქოშვილს და სარქისოვს მიუსაჯა შრომა-გასწორების ბანაკში პატიმრობა ოც-ოცი წლით, ქონების კონფისკაცია და ხუთ-ხუთი წლით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა, ხოლო დავთიანს — 15 წლის პატიმრობა, ქონების კონფისკაცია და ხუთი წლით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა.

ლ. ხუბულური.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე სახელმწიფო სესხი

ოფიციალური ცხრილი

მოგებათა მე-8 ტირაჟისა, რომელიც შედგა 1953 წლის 9 აგვისტოს ქალაქ არხანგელსკში.

მოგება ხვდა სესხის ყველა თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგება მანეთობით	სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგება მანეთობით
060062	39*)	1.000	070670	10*)	1.000
060106	1—50	500	070677	47*)	1.000
060307	29*)	5.000	070683	47*)	1.000
060653	38*)	1.000	070797	1—50	200
060667	36*)	1.000	070809	1—50	500
060744	47*)	1.000	070958	04*)	1.000
060759	1—50	500	071095	44*)	1.000
060813	1—50	500	071164	42*)	1.000
060911	36*)	5 000	071210	33*)	1.000
061075	04*)	1.000	071251	26*)	1.000
061225	14*)	5.000	071323	05*)	1.000
061349	36*)	1.000	071361	20*)	1.000
061644	01*)	1.000	071680	16*)	1.000
061660	1—50	200	071756	1—50	200
061847	35*)	1.000	071976	04*)	1.000
062056	20*)	5.000	072112	06*)	1.000
062158	34*)	1.000	072124	19*)	1.000
062206	14*)	5.000	072129	39*)	25.000
062292	1—50	500	072147	08*)	1.000
062328	44*)	5.000	072328	1—50	500
062377	1—50	500	072334	1—50	200
062379	15*)	1.000	072750	48*)	1.000
062917	19*)	5.000	072917	22*)	1.000
063072	1—50	200	072931	1—50	200
063172	11*)	1.000	073492	40*)	1.000
063355	1—50	200	073518	16*)	1.000
063365	1—50	500	073739	1—50	500
063468	1—50	200	073917	44*)	1.000
063518	06*)	1.000	073955	1—50	200
063566	45*)	1.000	074228	25*)	1.000
063747	1—50	200	074246	1—50	200
063851	37*)	25.000	074407	08*)	1.000
064198	1—50	200	074428	23*)	1.000
064366	35*)	1.000	074553	07*)	1.000
064440	12*)	1.000	074600	1—50	200
064946	1—50	500	074705	37*)	1.000
065090	01*)	5.000	074733	41*)	1.000
065115	36*)	1.000	074872	32*)	1.000
065141	12*)	1.000	074898	1—50	200
065221	28*)	1.000	075118	16*)	1.000
065356	1—50	200	075354	34*)	1.000
065388	1—50	200	075373	38*)	10.000
065521	1—50	200	075828	1—50	500
065553	1—50	200			
065647	1—50	200	076101	48*)	1.000
065697	12*)	1.000	076268	17*)	1.000
065831	12*)	1.000	076274	1—50	500
066092	36*)	1.000	076309	47*)	1.000
066132	36*)	1.000	076430	1—50	200
066182	1—50	200	076434	30*)	1.000
066330	26*)	1.000	076690	1—50	200
066793	1—50	200	076697	1—50	200
066897	11*)	1.000	076698	1—50	200
066943	25*)	1.000	076742	36*)	5.000
066952	17*)	1.000	076880	06*)	1.000
067060	50*)	1.000	076887	46*)	1.000
067118	39*)	1.000	077118	23*)	1.000
067220	41*)	1.000	077188	1—50	500
067292	20*)	1.000	077481	24*)	1.000
067293	01*)	10.000	077641	1—50	500
067396	1—50	500	077742	39*)	5.000
067601	1—50	200	077854	16*)	10.000
067622	31*)	1.000	077869	06*)	50.000
067829	1—50	500	078293	20*)	1.000
067980	38*)	1.000	078362	45*)	1.000
068082	12*)	1.000	078411	1—50	200
068229	05*)	1.000	078442	45*)	1.000
068282	35*)	1.000	078524	18*)	1.000
068380	25*)	1.000	078619	1—50	500
068462	08*)	1.000	078653	43*)	1.000
068596	1—50	200	078706	05*)	1.000
068677	1—50	200	078728	41*)	1.000
068730	1—50	500	078739	48*)	1.000
068839	1—50	200	078855	1—50	200
068853	31*)	1.000	078945	49*)	1.000
069115	26—50	200	079074	36*)	1.000
069321	28*)	10 000	079100	36*)	1.000
069334	1—50	200	079179	15*)	1.000
069575	27*)	1.000	079260	1—50	200
069670	35*)	1.000	079268	1—50	200
069704	27*)	1.000	079350	22*)	1.000
070077	48*)	1.000	079487	32*)	10.000
070225	16*)	1.000	079581	32*)	1.000
070264	49*)	1.000	079621	1—50	500
070282	20*)	1.000	079705	25*)	1.000
070286	01*)	1.000	079717	1—50	500
070556	49*)	1.000	079853	03*)	1.000

*) ამ სერიის დანარჩენ 49 ნომერ ობლიგაციებს ხვდა 200 მანეთი მოგება თვითეულს.

ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — არხანგელსკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე

ს. ი. მოლიკოვი.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი საფინანსო სამსახურის მრჩეველი

ლ. ა. ვასილიევა.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

მოქალაქე მარიამ ვარდოს ასულმა ცილიკიშვილმა, მცხოვრებმა კავთისხევის ქ. № 18, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე ფრიდონ ილიას-ძე ცილიკიშვილთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე ანა ალექსანდრეს ასულმა წინგუაშვილმა, მცხოვრებმა ტყვარჩელის ქ. № 4, აღძრა საქმე ტყვარჩელის ქ. № 2 მცხოვრებ მოქალაქე ალექსანდრე გიორგის-ძე კარაპეტოვთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს ორჯონიკიძის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლო.

საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს პროფ. ვირსალაძის სახელობის მალარიისა და სამედიცინო პარაზიტოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან ქუთაისის სამალარიო სადგურის გამგის რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის ვალერიან მანუჩარის-ძე ლორთქიფანიძის გარდაცვალებას.

შვილი ალექსანდრა მაღალდაძე, სიძე მიხეილ ქარუმიძე, შვილიშვილები ანა და ივანე იუწყებიან ანა მიხეილის ასულ ხაბაზიშვილი-მაღალდაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. ხაშმში, 20-VIII, 5 ს.

მეუღლე თინა, შვილი ლამარა, და ნინო, სიძე დავით შვილებით, სიმამრი იასონ, ცოლისძმები ვლადიმერ, ვახტანგ, რძალი ლიდა შვილებით იუწყებიან სიმონ მაქსიმეს-ძე კაკაბაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 8 ს. გამოსვენება 20-VIII, 6 ს. მილიციის ქ. № 12.

დები ელისაბედ, მარიამ, დისწულები დოდო, ვენერა, მარო, გრიგოლ, გრიშა კობახიძეები, რძლები ქსენია, ქეთო, სიძეები გ. როხვაძე, ლ. ჩარტიშვილი, იუწყებიან ვალერიან მანუჩარის-ძე ლორთქიფანიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში 20-VIII, წერეთლის, 15.

მეუღლე ლიდა, შვილები ალექსანდრე, ვახტანგ, ოლია, შოთა, მედეა და ბექან, რძლები ნადია, თამარ, ციალა, ძმები გრიგოლ, ილია, და ბაბილინა, იუწყებიან ვლადიმერ ივანეს-ძე ქათამაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-VIII, ს. ქვედა საქარაში.

თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის დირექცია, პარტბიურო, ადგილკომი და თანამშრომლები იუწყებიან ინგლისური ენის კათედრის წევრის უფროსი მასწავლებლის ნინო ივანეს ასულ ანდრონიკაშვილის გარდაცვალებას.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი — 3 06-88. ტელეფონები განყოფილებისა: პარტიული ცხოვრების — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-57-61, მრეწველობისა და ტრანსპორტის და სოფლის მეურნეობის 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების და საქმეთა მმართველობის—3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, უცხოეთის ინფორმაციისა და კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 3-73-24, განცხადებების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70

უე 04360

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი".